პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 294 (5395) | ორშაბათი, 26 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები (მოწინავე)

ენგურის ქაღალდკომბინატის ამუშავება (1-ლი გვ.)

ზ. ჩხუბიანიშვილი — განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი (მე-2 გვ.)

ა. პიტერსკი — „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი“ (მე-3 გვ.)

პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)

რადიუმის აღმოჩენის 40 წლისთავი (მე-4 გვ.).

უცხოეთში:

საფრანგეთ - იტალიის 1935 წლის შეთანხმებანი (1-ლი გვერდი)

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობის გახსნა (1-ლი გვ.)

თავდასხმა გენერალ ფრანკოზე (1-ლი გვ.)

რეაქციის შეტევა ჩეხოსლოვაკიაში (1-ლი გვ.).

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები

ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები, სოციალისტური მრეწველობის, საკოლმეურნეო მინდვრების და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები, კონკრეტული საქმეებით გამოხატავენ რა თავის უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის საქმისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, მისწრაფვიან ორგანიზაციულად განამტკიცონ იდეური კავშირი ბოლშევიკების პარტიასთან.

პარტიაში ამ ადამიანების მიღების ორგანიზაციული მხარე საქმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარი ამოცანა მდგომარეობს პარტიაში ახლად მიღებულთა იდეურ აღზრდაში, მათ პოლიტიკურად გამოწრთობაში.

ახლა, როცა ჩვენ გვაქვს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების პოლიტიკური აღზრდის ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიცაა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, მთელი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ბოლშევიკურად მოვაწყოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ამ უდიდესი განძის შესწავლა.

ახლა, როცა ჩვენ გვაქვს ისეთი სტალინური დოკუმენტი, როგორიცაა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“, ყველა პირობა არსებობს, რათა ბოლშევიზმის პროპაგანდა სანიმუშოდ მოეწყოს.

აქამდე პარტიული ორგანიზაციები კომუნისტთა თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, განსაკუთრებით პარტიაში ახლადმიღებულთა ბოლშევიზმით შეიარაღებისათვის, ნაკლებად ზრუნავდნენ. პარტიული ორგანიზაციები კმაყოფილდებოდნენ პარტკანდიდატების, ყველა კომუნისტის წრეებში „ჩაბმით“. ისინი ივიწყებდნენ, რომ „... მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების ძირითად მეთოდს უნდა წარმოადგენდეს ბოლშევიკების უფროსი თაობის გამოცდილებაზე შემოწმებული მეთოდი ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებელი შესწავლისა“... (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან).

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი დღემდე არსებითად არავითარ დახმარებას არ უწევს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ახალგაზრდა კომუნისტებს. მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკის პარტიულ კომიტეტს (პარტკომის მდივანი—პ. ძორჟუკი) საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების შესრულებისათვის პრაქტიკული ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს, ამხანაგები კი დახმარებას საჭიროებენ.

— მე, — ამბობს პარტწევრობის კანდიდატი, ინჟინერი ამხ. ი. ცალკინი, — თავისუფლად შემიძლია პარტიის ისტორიის შესწავლა დამოუკიდებლად, მაგრამ ძალიან მესაჭიროება მეთოდური კონსულტაციები, სხვანაირად მიძნელდება მუშაობა. პარტკომი კი ამაზე არასაკმაოდ ზრუნავს. საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაციაში (პარტკომის მდივანი — გ. ხომერიკი) პარტკანდიდატები, სტახანოველი მემანქანეები ს. ლეკვეიშვილი და ი. კიკნაძე აცხადებენ, რომ მათ საკმაო დრო აქვთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის, მაგრამ ესაჭიროებათ მეთოდური რჩევა-დარიგება დამოუკიდებელი მუშაობის უკეთესად დაყენებისათვის.

სტალინური ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდ მოვალეობას აკისრებს პარტორგანიზაციებს. მათი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კომუნისტთა შორის ღრმად დანერგონ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის პრაქტიკა, დაეხმარონ კომუნისტებს, განსაკუთრებით ახლადმიღებულთ, ლექციებით, კონსულტაციებით, ლიტერატურის მითითებით, დამოუკიდებელი კითხვისა და კონსპექტის შედგენის სწავლებით და სხვ., ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავუღვივოთ კომუნისტებს, განსაკუთრებით ახლადმიღებულთ, თეორიისადმი ინტერესი, ჩავუნერგოთ თეორიის სიყვარული.

დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის წევრობის კანდიდატების იდეურად აღზრდისათვის მათს აქტიურად ჩაბმას პარტიულ მუშაობაში, დავალებების სწორად განაწილებას, შესრულების სისტემატურ შემოწმებას.

№ 2 სამკერვალო ფაბრიკის პარტკომის მდივანი ამხ. მ. არაქელოვა დავალების მიცემასთან ერთად თვითეულ პარტკანდიდატს ასწავლის როგორ უნდა შეასრულოს ესა თუ ის პარტიული დავალება, ეხმარება მას, სისტემატურად ამოწმებს დავალებათა შესრულებას. მაგრამ ყველგან ასე როდი მუშაობენ პარტკანდიდატებთან. ტყავის № 1 ქარხნის პარტორგანიზაციაში 22 კანდიდატიდან 13-ს არავითარი პარტიული დავალება არა აქვს. უკანასკნელ ხანებში პარტწევრობის კანდიდატებთან მუშაობა 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციამაც შეანელა (პარტკომის მდივანი ამხ. გ. მოსიძე); პარტკანდიდატებს დრიევს, მარქაროვას, აზატოვს და სხვებს პარტიული დავალებები არა აქვთ.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიის წევრობის თვითეული კანდიდატი აქტიურად მონაწილეობდეს პარტორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობაში, პრაქტიკულ სამუშაოზე ხდებოდეს მისი იდეურ-პოლიტიკური აღზრდა.

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პარტიის რიგების ზრდა. ქუთაისის მტს-ის პარტორგანიზაციაში 1937 წლის ივნისიდან მიმდინარე წლის ნოემბრამდე 5 კაცი მიიღეს პარტიაში. პარტიის წევრობის კანდიდატებთან სუსტი მუშაობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამავე ორგანიზაციაში ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კანდიდატი გადარიცხეს პარტიის წევრად.

პარტიის წევრობის არაერთი კანდიდატი ამშვენებს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა რიგებს. ისინი დღითიდღე იზრდებიან, ეუფლებიან ტექნიკას, ეუფლებიან ბოლშევიზმს. ვინ არ იცნობს პარტკანდიდატებს სტ. ქსოვრელს, ცაცა ქარდავას, ეშა აზუბას და სხვ. პარტიის წევრობის მრავალი კანდიდატი საპასუხისმგებლო პარტიულ, სამეურნეო, საზოგადოებრივ სამუშაოს ასრულებს.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ პარტწევრობის კანდიდატები ყველგან მოწინავენი როდი არიან. იქ, სადაც პარტორგანიზაციები ვერ იჩენენ უნარს ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ პარტკანდიდატებს, კანდიდატთა ავანგარდული როლიც არ სჩანს. მაგალითად, თელავის მტს-ის პარტორგანიზაციაში 11 კანდიდატიდან მხოლოდ ორია სტახანოველი, ქუთაისის მტს-ში კი პარტწევრობის არცერთი კანდიდატი არ არის სტახანოველი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილება, რომელიც იწყებს „ახალ ხანას ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციაში, ახალ აღმავლობას ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში („პრავდა“), საფუძვლად უნდა დაედოს პარტიის წევრობის კანდიდატების იდეურ-პოლიტიკურ ზრდას, მათს შეიარაღებას მარქსიზმ-ლენინიზმით. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული პარტორგანიზაციების მოქნილ მუშაობაზე.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კანდიდატები აქტიურად მონაწილეობდნენ მრავალფეროვან პარტიულ ცხოვრებაში, რომ პარტიის წევრობის კანდიდატებისაგან გამოვზარდოთ ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები, ტექნიკას დაუფლებულნი, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებით შეიარაღებულნი, უნარიანი მუშაკები, რომლებსაც შეეძლებათ ბოლომდე შეუდრეკლად იბრძოლონ ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის, კომუნიზმისათვის.

ენგურის ქაღალდკომბინატის ამუშავება

23 დეკემბერს ენგურის ქაღალდკომბინატის რაიონული შემამცირებელი ქვესადგურის აგრეგატების გამოცდის შემდეგ ტყვარჩელის რაიონულ სახელმწიფო ელსადგურისაგან დენის მიღებასთან დაკავშირებით, დაიწყო ენერგიის მიღება და მისი მიყვანა ენგურის ქაღალდკომბინატის საამქროებამდე. ამ დღეს გამოცდილი იქნა კომბინატის ფიდერის ქვესადგური, სატუმბავი სადგურის სატრანსფორმატორო, რომელიც წყალს იძლევა კომბინატისათვის და რომელიც იმყოფება მდინარე ენგურის ნაპირას სამი კილომეტრის მანძილზე კომბინატიდან, აგრეთვე სატრანსფორმატორო სადგური, რომელიც ენერგიას აწვდის კომბინატის ცელულოიზის ქარხნის საამქროებს. გამოცდამ სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა.

24 დეკემბერს 18 საათზე ამუშავდა სამსხვრევი საამქრო ენგურის ქაღალდკომბინატისა. 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყო მჟავას საამქროს ღუმელის განყოფილების გამოცდა.

კომბინატის მუშათა დაბა და საამქროები გაჩირაღდნებულია ელექტროსინათლით.

○

ზუგდიდი, 25 დეკემბერი. 24 დეკემბერს ამუშავდა სამსხვრევი საამქრო, ალმადანის ღუმელები, პირველი ამწის სატუმბე სადგური, ქაღალდის ფაბრიკის სატრანსფორმატორო ქვესადგური. საქვაბემ მიიღო ელექტროენერგია.

კ. ვ. პროზოროვი

ენგურის ქაღალდკომბინატის დირექტორი — მშენებლობის უფროსი. (საქდესი).

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის მთავრობასა და იტალიის მთავრობას შორის წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაიხუროს სსრ კავშირის გენერალური საკონსულო მილანში და იტალიის გენერალური საკონსულო ოდესაში. (საქდესი).

საფრანგეთ-იტალიის 1935 წლის შეთანხმებანი

(ც ნ ო ბ ა)

საფრანგეთ-იტალიის 1935 წლის შეთანხმება, რომელიც ამჟამად იტალიის მთავრობამ გააუქმა, ხელმოწერილი იყო რომში 1935 წლის 7 იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის ლავალისა და მუსოლინის მიერ. ეს შეთანხმება შემდეგ რატიფიცირებულ იქნა ორივე მხარის მიერ. რატიფიცირებული სიგელების ფორმალური გაცვლა-გამოცვლა აქამდე არ მომხდარა.

1935 წლის 6 იანვარს ლავალისა და მუსოლინის მიერ ხელმოწერილ იქნა შემდეგი საბუთი:

1. განცხადება, რომელიც ადასტურებს ორივე მთავრობის თვალსაზრისის იგივეობას ძირითად პოლიტიკურ პრობლემებში.

2. მიმართვა გერმანიისა, ავსტრიისა, უნგრეთისა, ჩეხოსლოვაკიისა, იუგოსლავიისა, პოლონეთისა და რუმინეთისადმი, რომელიც ურჩევდა მათ ხელშეკრულების დადებას ტერიტორიული საზღვრების ურთიერთდაცვისა და შინაგან საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

3. ხელშეკრულება, რომლის თანახმად საფრანგეთმა და იტალიამ იკისრეს ვალდებულება შეათანხმონ თავიანთი მოქმედებანი იმ შემთხვევაში, თუ ავსტრიის დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩავარდება და

4. კონვენცია კოლონიების საკითხებზე, რომელიც განსაზღვრავს ორივე ქვეყნის მომიჯნე კოლონიურ სამფლობელოთა საზღვრებს და აწესრიგებს იტალიელთა მდგომარეობას საფრანგეთის კოლონიურ სამფლობელოებში.

1935 წლის კონვენციაში კოლონიების საკითხებზე იტალიამ მიაღწია იმას, რომ საფრანგეთმა მას დაუთმო 120 ათასი კვ. კილომეტრი ტერიტორია ლიბიის სამხრეთ ნაწილში. სომალში, მეწამული ზღვის სანაპიროზე, საფრანგეთმა იტალიას დაუთმო 800 კილომეტრი სიგრძისა და 50 კილომეტრი სიგანის ტერიტორია. გარდა ამისა, საფრანგეთმა იტალიას დაუთმო საფრანგეთის ნავსადგურ ჯიბუტიდან აბისინიის დედაქალაქ ადის-აბებამდე მიმავალი რკინიგზის კონტროლში მონაწილეობის დიდი წილი.

იტალიის მთავრობის მიერ 1935 წლის შეთანხმების ახლანდელ ცალმხრივ გაუქმებას საფრანგეთის პრესა, პირველ ყოვლისა, აფასებს როგორც იტალიის მთავრობის განზრახვას ხელში ჩაიგდოს საფრანგეთის კოლონიური სამფლობელოები ჩრდილოეთ და ჩრდილო - დასავლეთ აფრიკაში, რის შესახებ უკვე რამდენიმე კვირაა გააფთრებული კამპანია სწარმოებს იტალიის პრესაში. (საქდესი).

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 23 დეკემბერი (საქდესი). ის გარემოება, რომ იტალიის მთავრობამ ოფიციალურად გააუქმა საფრანგეთ-იტალიის 1935 წლის 6 იანვრის შეთანხმებანი, რომლებიც მეორე დღესვე იყო ხელმოწერილი ლავალისა და მუსოლინის მიერ, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის აღშფოთებასა და შიშს იწვევს. დღეს მთელი პრესა სპეციალურ სტატიებს უძღვნის ამ საკითხს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მთავრობამ უნდა გამოიჩინოს სიმტკიცე და არ დასთანხმდეს რაიმე დათმობაზე.

„საფრანგეთის მთავრობას, — შენიშნავს „ვიქტუარი“, — არ შეუძლია გასცილდეს 1935 წლის იმ შეთანხმებათა ფარგლებს, რომლებიც რატიფიცირებულია როგორც რომში, ისე პარიზში“.

მთელი რიგი გაზეთები, კერძოდ „ორდრი“ და „ეპოკი“ აცხადებენ, რომ „იტალია, გაუქმებულად აცხადებს რა 1935 წლის ხელშეკრულებას, ამით აშკარად მოითხოვს ახალ კოლონიურ კომპენსაციებს“.

ტაბუი „ევრში“ სწერს, რომ რომის 1935 წლის შეთანხმებათა დენონსირება „წარმოადგენს იტალიის ანტიფრანგული მოთხოვნების კამპანიის პირველ ნაბიჯს, მოთხოვნების რომელთა შესახებაც იტალია აცნობებს ჩემბერლენს, როდესაც იგი რომში ჩამოვა“.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობის გახსნა

პარიზი, 24 დეკემბერი (საქდესი). დღეს პარიზის გარეუბან მონრუჟში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობა. ყრილობის გახსნისთანავე უნდა დაწყებულიყო კამათი პარტიის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე, მაგრამ ლუარისა და შერის დეპარტამენტის სოციალისტური ფედერაციისაგან შემოკიდა იგრეთწოდებული „წინასწარი წინადადება“ სპეციალური შემათანხმებელი კომისიის დანიშვნის შესახებ იმ მიზნით, რათა პარტიის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე შემუშავებული ყოფილიყო რეზოლუცია, რომელიც იქნებოდა კომპრომისი ბლიუმისა და პოლ ფორის რეზოლუციებს შორის საგარეო პოლიტიკის შესახებ. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის შიგნით ყრილობაზე შემოტანილი რეზოლუციების მომხრეებს შორის გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

ლეონ ბლიუმის რეზოლუცია ჰგმობს დალადიეს მთავრობის მიუნხენის კაპიტულანტურ პოლიტიკას და მოითხოვს გატარდეს ფაშისტ აგრესორებისადმი წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკა, ამასთან რეზოლუცია სცნობს მშვიდობიანობის განუყოფელობას, როგორც კოლექტიური უშიშროების საფუძველს.

პოლ ფორის რეზოლუცია არსებითად იწონებს მიუნხენის პოლიტიკას და მოითხოვს „მშვიდობიანობას, რადაც უნდა დაჯდეს იგი“.

„წინასწარი წინადადების“ გარშემო გამართულ კამათში ნორის დეპარტამენტის ფედერაციის სახელით ლებამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და განაცხადა, რომ მისი აზრით, იმ ფედერაციაში, რომლის წარმომადგენელიც იგი არის, შეიძლება მიღწეულ იქნას დიდი უმრავლესობა ასეთი კომპრომისული რეზოლუციის სასარგებლოდ. ლეონ ბლიუმმაც მხარი დაუჭირა წინადადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას კომისია საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კომპრომისული რეზოლუციის შესამუშავებლად. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა აგრეთვე პოლ ფორმა.

შემდეგ ყრილობამ კენჭი უყარა წინადადებას კომპრომისული რეზოლუციის შესამუშავებლად კომისიის შექმნის შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა 5.571 ხმით 1594 ხმის წინააღმდეგ, ამასთან 826-მა თავი შეიკავა.

სოციალისტური პარტიის ყრილობის დღის სხდომა მიეძღვნა საშინაო პოლიტიკის საკითხების განხილვას.

ახალი რამ ჩინეთის არმიის ტაქტიკაში

ჯუ დეს განცხადება

ჩუნცინი, 24 დეკემბერი (საქდესი). გაზეთმა „სინხუაჟიბაომ“ გამოაქვეყნა ამონაწერი ჩინეთის მე-8 სახალხო-რევოლუციური არმიის სარდლის ჯუ დეს მოხსენებიდან. ჩან კაი-შის მიერ ხანგრძლივი ომის წარმოების შესახებ მოცემულ მითითებათა საფუძველზე, — სთქვა ჯუ დემ, — ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ წარსული ბრძოლების გამოცდილება და გამოვიყენოთ პარტიზანული ომის ტაქტიკა. აღნიშნა, რომ იგი დარწმუნებულია იაპონელ დამპყრობლებზე გამარჯვებაში, ჯუ დემ წამოაყენა ახალი ტაქტიკის გამოყენების მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები.

„საჭიროა,—განაგრძო ჯუ დემ, — გამოვიყენოთ ყველა ხერხი და საშუალებანი პარტიზანული ბაზების მოსაწყობად, ჯარისკაცებსა და მოსახლეობას შორის პოლიტიკური მუშაობის გასაფართოებლად. წინა თვეებში ჩვენ ველოდით იაპონელთა შემოტევას, რათა თავი დაგვეცვა და ამის გამო დიდ ზარალს ვნახულობდით. გამოცდილებამ გვასწავლა, რომ თავდაცვა ომის წარმოების სუსტი მეთოდია. ახლა ჩვენ თვითონ უნდა მოვსინჯოთ მოწინააღმდეგის სუსტი ადგილები და იქითკენ წარვმართოთ ჩვენი იერიშები. რას მოითხოვს ჩვენგან ახალი ტაქტიკა? პირველი — სარდლობის მოქნილობას. ვითარება ისე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ დაველოდოთ ზემოდან მითითებათა მიღებას და განვავითაროთ ოპერაციები ადგილზე არსებული მონაცემების თანახმად. მეორე — უსასტიკესი საიდუმლოება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ზურგში ბევრია იაპონელი ჯაშუში და გამცემი. მესამე — სისწრაფე და მოულოდნელობა — პარტიზანული მოქმედების წარმატების საწინდარი. მეოთხე — მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო ხაზებზე თავდასხმა იმ მიზნით, რათა გადავჭრათ ეს ხაზები და მოვუსპოთ მოწინააღმდეგეს მაშველი ჯარების მიღების საშუალება. ამავე დროს მოულოდნელი იერიშით უნდა მოვსპოთ ამ ხაზებს მოწყვეტილი მოწინააღმდეგე. მტრის ჭარბი ძალების წინაშე უნდა შეგვწევდეს ადგილმდებარეობის თავისებურების გამოყენების უნარი.

ჩვენი სტრატეგია თავდაცვითია, ხოლო ტაქტიკა შეტევითი. ამიტომ საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ საფლანგო იერიშების მეთოდი. მეხუთე — განვაგრძოთ უკანდახეული მტრის დევნა პატარა დამკვრელი ჯგუფებით და მთავარი ძალები გავგზავნოთ მტრის ფლანგების შემოსავლელად. მეექვსე — შეტევაზე გადმოსული მტრის წინაშე უკან დახევისას გამოვიყენოთ ბილიკები, მთის გასასვლელები“.

გერმანელ ფაშისტთა თავხედური მოთხოვნა ინგლისში

ლონდონი, 23 დეკემბერი (საქდესი). გერმანიის ფაშისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელები ინგლისში ცდილობენ აიძულონ ინგლისში მცხოვრები ყველა გერმანელი შევიდნენ ეგრეთწოდებული „შრომის ფრონტის“ ორგანიზაციაში. ამას წინათ გერმანელ ფაშისტთა ხელმძღვანელმა ლონდონში, რომელიც გერმანიის საელჩოს თანამშრომელია, ინგლისში მცხოვრებ ყველა გერმანელსა და ავსტრიელს დაუგზავნა წერილები, რომლებითაც მოითხოვს დაუყოვნებლივად აცნობონ იმის მიზეზი, თუ რატომ არ სურთ მათ „შრომის ფრონტში“ შესვლა.

იუგოსლავიის მთავრობის ახალი შემადგენლობა

პრაღა, 23 დეკემბერი (საქდესი). იუგოსლავიის ახლადშექმნილ მთავრობაში შედიან: პრემიერ მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი — სტოიადინოვიჩი, შინაგან საქმეთა მინისტრი — აჩუნოვიჩი, იუსტიციის მინისტრი — სტანკოვიჩი, გზათა მინისტრი — სპაჰო, სამხედრო მინისტრი — გენერალი ნედიჩი, განათლების მინისტრი — ბოგოლიუბი, ფიზიკური აღზრდის მინისტრი--მასტროვიჩი, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — სვეტკოვიჩი, ფინანსთა მინისტრი — დუშან ლეტიცა, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი — კრეკი, ვაჭრობის მინისტრი — კაბალინი, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი — კავანოვიჩი, უპორტფელო მინისტრები — ჯორჯევიჩი, კულენოვიჩი და სნოია.

ერთა ლიგის საბჭოს მე-104 სესია

ჟენევა, 23 დეკემბერი (საქდესი). ერთა ლიგის საბჭოს მე-104 სესია მოწვეულია 1939 წლის 16 იანვრისათვის. დღის წინასწარი წესრიგი შეიცავს 13 საკითხს, მათ შორის ესპანეთის მდგომარეობის, ესპანეთიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის საკითხებს, ჩინეთის მთავრობის განცხადებას და სხვ.

უკანასკნელი ცნობები

თავდასხმა გენერალ ფრანკოზე

პარიზი, 25 დეკემბერი (საქდესი). როგორც გაზეთი „სე სუარი“ იუწყება, ამ დღეებში ავილის მახლობლად დაჭრილ იქნა ესპანეთის ფაშისტ მეამბოხეთა მეთაური, გენერალი ფრანკო. ფრანკო ბურგოსიდან ავილას გაემგზავრა სასწრაფო გამოწვევით, რადგან ავილაში ქალაქის გარნიზონის აჯანყებამ იფეთქა. იმ მომენტში, როცა ფრანკო ავტომობილით ტყეში მიდიოდა, მას თოფები დაუშინეს.

რეაქციის შეტევა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 25 დეკემბერი (საქდესი). 23 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა კაბინეტმა გამოიტანა დადგენილება, რომ განახლდეს პოლიტიკური პარტიების დაშლის შესახებ 1933 წელს გამოცემული კანონის მოქმედება. როგორც ცნობილია, ეს კანონი იმ დროს მიმართული იყო ჰენლაინელთა წინააღმდეგ, რომელნიც გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ გააქტივდნენ. 1935 წელს კანონის მოქმედება შეწყვეტილ იქნა. ახლა ეს კანონი კვლავ გამოიტანეს არქივებიდან, რათა ამგვარად გააფორმონ კომუნისტური პარტიის დაშლა და კომუნისტებისათვის დეპუტატის მანდატების ჩამორთმევა პარლამენტში, მუნიციპალიტეტებში და სხვ.

ამასთან ერთად მინისტრთა კაბინეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე არსებულ გერმანულ სასწავლებლებში სამუშაოდან დათხოვნილ იქნას ყველა ებრაელი მასწავლებელი.

ამხ. დავით ნაკაიძე

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ციტრუსების სანერგის ბრიგადირი, ციტრუსების მყნობის რეკორდსმენი, რომელმაც წელს კოლმეურნეობაში 515 შრომადღე გამოიმუშავა. ამხ. დ. ნაკაიძის ოჯახმა კოლმეურნეობიდან შრომადღეებზე და საკარმიდამო მეურნეობიდან მიიღო მარტო ფულად 25.000 მანეთი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 24 დეკემბერი (საქდესი). შეჯამებულია ახლახან დამთავრებული მე-4 სრულიად-საკავშირო რადიოგამოფენის შედეგები. რადიოგამოფენაში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის 2.500 რადიომოყვარული, რომლებმაც წარმოადგინეს დაახლოებით 3.000 ექსპონატი. პირველი ჯილდო — 2.000 მანეთი მიესაჯა გორკის რადიომოყვარულს ამხ. ბ. ვ. დოქტოროვს, რომელმაც დაამზადა რთული რადიოლა. ელექტრომექანიკოსმა ამხ. ს. ი. ბურდიანოვმა (თბილისი) დაამზადა პატეფონის უნივერსალური აპარატი. ამხ. ბურდიანოვს მიესაჯა მეორე ჯილდო.

მეორე ჯილდო მიიღო აგრეთვე რადიომოყვარულმა ე. მ. პოროშინმა (ლენინგრადი), რომელმაც დაამზადა პირველი მაღალხარისხოვანი სატელევიზორო მიმღები რადიომოყვარულთათვის.

რადიოგამოფენის ჟიურიმ დააჯილდოვა 140 რადიომოყვარული. 200 კაცმა მიიღო სიგელები.

○

მოსკოვი, 24 დეკემბერი (საქდესი). უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამოგონებათა ბიურომ 3.130 გამოგონება და წინადადება მიიღო. ბევრი მათგანი საგრძნობლად აუმჯობესებს ფაბრიკებისა და ქარხნების ტექნიკურ შეჭურვილობას, შრომის ნაყოფიერებას ადიდებს, სახსრების უდიდეს ეკონომიას იძლევა.

შარშან უშუალოდ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში შემოტანილ იქნა 24 ათასი წინადადება, მათ შორის რეალიზებულ იქნა დაახლოებით 10 ათასი. მარტო 5 ათასი რეალიზებული წინადადებიდან მიღებულია 30 მილიონზე მეტი მანეთი ეკონომია.

○

სევასტოპოლი, 24 დეკემბერი (საქდესი). ოთხი თვის განმავლობაში სოფიო პეროვსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში სწარმოებდა საბაღო-სავენახო მუხლუხა ტრაქტორის გამოცდა.

მანქანა სავსებით აკმაყოფილებს მებაღეობის აგროტექნიკის მოთხოვნებს.

ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფი

ყინულმჭრელ „სედოვის“ გემბანი, 23 დეკემბერი (საქდესი). (საქდესის სპეცკორის რადიო). ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფის რაიონში ღრუბლიანი, ცივი ამინდია. გუშინ 22 გრადუსი ყინვა იყო. ჰქრის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთის სუსტი ქარი. ყინულის მოძრაობა უმნიშვნელოა. ყველანი მხნედ გრძნობენ თავს.

ჩვენი კოორდინატები 21 დეკემბრის შუაღამისას ასეთი იყო: ჩრდილოეთის განედის 84 გრადუსი და 25 წუთი და აღმოსავლეთის გრძედის 133 გრადუსი და 57 წუთი.

ბეკასოვი

წყალში ღრმად საყვინთავი ახალი აპარატი

ლენინგრადი, 25 დეკემბერი (საქდესი). კონსტრუქტორთა ბრიგადამ პროფესორ შიმანსკის ხელმძღვანელობით დაამთავრა წყალში ღრმადსაყვინთავი აპარატის—სიგარის მსგავსი ფორმის ჰიდროსტატის პროექტირება. ამ აპარატით სამ კაცს შეუძლია ჩავიდეს წყალში 2.500 მეტრის სიღრმეზე და დაჰყოს იქ 10 საათს.

პროჟექტორების საშუალებით მეცნიერთ შეუძლიათ ჰიდროსტატიდან თვალი ადევნონ წყალქვეშა სამყაროს და გადაიღონ ფოტოსურათები.

იაკუტიის ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

იაკუტსკი, 24 დეკემბერი (საქდესი). დღეს სურათების გალერიის სადგომში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა რესპუბლიკური გამოფენა. საკ. ალკკ 20 წლისთავისა და სტალინური კონსტიტუციის მეორე წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმოდგენილია ზეთიანი საღებავებით, ფანქრითა და აკვარელით შესრულებული 300 ექსპონატი.

სურათების დიდი უმეტესობა მიძღვნილია თავდაცვითი თემატიკისადმი: ხასანის ტბის რაიონში მომხდარი ამბებისა, წითელი არმიის ცხოვრებისა და აგრეთვე იაკუტიის ხალხის შეძლებული და კულტურული ცხოვრებისადმი.

ვალენტინა გრიზოდუბოვა სოხუმში

სოხუმი, 25 დეკემბერი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). 24 დეკემბერს სოხუმში ჩამოვიდა თვითმფრინავ „როდინას“ ეკიპაჟის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, ორდენოსანი ვალენტინა გრიზოდუბოვა, რომელიც სოჭაში ისვენებს.

ამხ. გრიზოდუბოვამ 23 დეკემბერს დაათვალიერა გაგრა, ხოლო მეორე დღეს სოხუმის მნიშვნელოვანი ადგილები. 24 დეკემბერს, საღამოს, „სინოპის“ დასასვენებელი სახლის დამსვენებლებმა ამხ. გრიზოდუბოვას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

25 დეკემბერს ამხ. გრიზოდუბოვა სოჭაში გაემგზავრა.

მფრინავ გურიევის გაბედული პოლარული რეისი

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს ლენის ავიაჯგუფის პოლარული მფრინავი ამხ. გურიევი ამჟამად ახდენს მეორე საზამთრო რეისს პოლარული ღამის მკაცრ პირობებში. იგი მიფრინავს მარშრუტით: იაკუტსკი-ტიქსი-იაკუტსკი.

ძლიერი ყინვებისა და ცუდი ხილვადობის მიუხედავად, ძნელი რეისის პირველი ნახევარი წარმატებით დამთავრდა. 23 დეკემბერს თვითმფრინავი „სსსრ-ნ-116“, რომელსაც ამხ. გურიევი პილოტობს, დაეშვა ტიქსის ბუხტში, თან მიიყვანა 8 მგზავრი და მიიტანა ტვირთი და ფოსტა.

25 დეკემბერს, თუ ხელსაყრელი ამინდი იქნა. ამხ. გურიევი ტიქსიდან უკან გამოფრინდება.

მშრომელები მიესალმებიან შრომის წიგნაკების შემოღებას

მთელს საბჭოთა კავშირში ფართოდ იხილავენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას „შრომის წიგნაკების შემოღების შესახებ“.

მშრომლები მხურვალედ ესალმებიან დადგენილებას, რომელიც მიმართულია შრომის დისციპლინის ამაღლებისაკენ და მუშახელის დენადობის ლიკვიდაციისაკენ.

სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის ყველა საამქროში წაკითხულ იქნა მთავრობის დადგენილება „შრომის წიგნაკების შემოღების შესახებ“. მუშები აღნიშნავენ, რომ პატიოსანი მუშაკებისათვის შრომის წიგნაკი საპატიო სიგელია.

შრომის წიგნაკების შემოღების შესახებ მთავრობის დადგენილებას ერთსულოვნად იწონებენ ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნაიას წითელდროშოვანი მანუფაქტურის მუშები და სპეციალისტები მოსკოვში. ისინი აცხადებენ, რომ შრომის წიგნაკები უტყუარი საშუალებაა წამგლეჯელთა და გამცდენლებთან ბრძოლაში.

ლენინგრადის საწარმოებში გაიმართა შრომის წიგნაკების შემოღებისადმი მიძღვნილი მიტინგები და საუბრები. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილაში“ გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ეს დადგენილება შრომის დისციპლინას განამტკიცებს.

ასეთივე ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვა, მთავრობის დადგენილებამ სხვა საწარმოებშიაც. (საკდესი).

შრომის დისციპლინის განმტკიცების საუკეთესო საშუალება

საკავშირო მთავრობის დადგენილებას მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შრომის წიგნაკის შემოღების შესახებ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ არის, რომ მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი ერთსულოვნად მიესალმება ამ დადგენილებას.

ისტორიაში უმაგალითო ხელსაყრელი პირობებია შექმნილი ჩვენს ქვეყანაში პატიოსანი შრომისათვის, 7 საათიანი სამუშაო დღე, კულტურული მომსახურება, მაღალი ხელფასი, სპეცტანსაცმელი და სხვ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს მუშათა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას. მუშები და მოსამსახურეები კეთილსინდისიერად იყენებენ ამ მდგომარეობას და წარმოების საქმეს უყურებენ, როგორც პირველი რიგის საერთო სახელმწიფოებრივ საქმეს. მაგრამ ამასთან ერთად ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც შრომისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას იჩენენ, არიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები იმუშაონ და მეტი მიიღონ, ასეთი კატეგორიის ადამიანებისათვის ჩვეულებად გახდა სამუშაოზე გვიან გამოცხადება, გაცდენები, შრომის დისციპლინის დარღვევა, ერთი წარმოებიდან მეორეში გადასვლა და სხვ.

ჩვენი ქარხნიდან 90-ზე მეტი მუშა წავიდა წელს, ზოგმა იუკადრისა დირექციის სამართლიანი მითითება შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ. ისინი სხვა წარმოებაში მოეწყვნენ, თუ კი იქაც „არ მოეწონათ“, სხვაგან წავლენ და ა. შ. ასეთი ფრინიები შრომის წიგნაკის შემოღების შემდეგ აღარ იქნებიან. შრომის წიგნაკი არის სარკე, სადაც ნათლად გამოჩნდება თვითეული ადამიანის დამოკიდებულება შრომისადმი.

სამანქანო საამქროს მუშა მახარაშვილი ქარხნიდან ყოველგვარი საბუთის უქონლად წავიდა იმ ქარხანაში სამუშაოდ, სადაც მისი ქმარი მუშაობს, მისთვის არავის მოუთხოვია საბუთი თუ რას წარმოადგენს იგი. მუშა ლატვინოვამ ისარგებლა კუთვნილი შვებულებით და შემდეგ ქარხანაში სამუშაოდ არ დაბრუნებულა.

საჭიროა სასტიკი ბრძოლის წარმოება შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. სამუშაო საათები ზუსტად უნდა გამოვიყენოთ. ყველაფერი ეს მიმართულია იქითკენ, რათა წარმოება საწარმო-საფინანსო გეგმებს თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ასრულებდეს.

ი. გუჯიაშვილი

თბილისის მოლოტოვის სახ. ავეჯეულობის ქარხნის დირექტორი.

საუკეთესო მეცნიერული ნაშრომები ექსპერიმენტულ მედიცინაში

მოსკოვი, 23 დეკემბერი (საკდესი). ექსპერიმენტული მედიცინის გორკის სახელობის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტში დამთავრდა კონკურსი საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომზე. მაღალი შეფასება მიიღეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ვიშნევსკისა და პროფესორ გურვიჩის ნაშრომებმა. პროფესორმა ვიშნევსკიმ გამოიყენა ტუბერკულოზური ემპიემების (ჩირქოვანი პლევრიტების) მკურნალობას ახალი ქირურგიული მეთოდი. ეს შესაძლებლობას გვაძლევს წარმატებით ვუმკურნალოთ იმათ, ვინც ტუბერკულოზით, თითქოს, სრულიად უიმედოდ მძიმედაა დაავადებული და ვისაც პნევმატორაქსს უკვე ვერ გაუკეთებ.

პროფესორ გურვიჩის ნაშრომში დაკავშირებულია კიბოთი დაავადების ადრინდელ დიაგნოსტიკასთან. პროფესორმა კიბოთი დაავადებულთა სისხლში აღმოაჩინა განსაკუთრებული ნივთიერება „ჩამხშობი“. მისი არსებობა გვიჩვენებს კიბოთი დაავადებას მის ადრინდელ სტადიაშიც კი. თუ „ჩამხშობი“ არ არის, ეს კიბოს ოპერაციების შედეგთა უტყუარი მაჩვენებელია — წარმატებით, ოპერაციის დროს „ჩამხშობი“ ჰქრება.

პროფესორები ვიშნევსკი და გურვიჩი დაჯილდოებულნი არიან 4.000 მანეთით თვითეული. 2.000 მანეთი ჯილდო მიიღეს თვითეულმა: მეცნიერმა თანამშრომელმა ალიმოვმა, რომელმაც პირველად აღმოაჩინა ეგრეთწოდებული „მარსელის“ პარტახტიანი ტიფის ვირუსი, რის გადაღებაც ტკიპებით ხდება. პროფესორმა სმოროდინცევმა ნაშრომისათვის გრიპის ვირუსების შესახებ და სხვ.

ხატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე კომკავშირელი სტახანოველები შურა კვაჭანტირაძე, ლიზიკო ხურციძე და ლიუდი ხურციძე კოლმეურნეობის ქოხ-ლაბორატორიაში ეცნობიან ჩაის ფოთლის ხარისხს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

რესპუბლიკური თათბირი მეთამბაქოობის საკითხებზე

გუშინ, 25 დეკემბერს, საქ. ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში გაიხსნა რესპუბლიკური თათბირი მეთამბაქოობის საკითხებზე, მოწვეული საქ. მიწსახკომის მიერ.

თათბირს ესწრებიან აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, ლაგოდეხის, სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ჩოხატაურის, ზუგდიდის და სხვა რაიონების მტს-ების და მიწგანების მეთამბაქოე აგრონომები, კოლმეურნე სტახანოველები, მეთამბაქოობის ზონალური სადგურის სპეციალისტები, საქ. მიწსახკომის და „საქთამბაქონედლეულის“ მუშაკები.

25 დეკემბერს დღის წესრიგის პირველ საკითხზე თათბირმა მოისმინა საქ. მიწსახკომის მეთამბაქოობის სამმართველოს უფროსის ამხ. კანდელაკის მოხსენება.

ტრაქტორების რემონტი

საქ. მიწსახკომის 20 დეკემბრის ცნობებით.

მტს-ები და მათი დირექტორები	შესაკეთებელია სულ	შეკეთებულია დღემდე	წლიური გეგმის შესრულება პროცენტით	მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულება პროცენტით
ახალციხის — გ. აივაზოვი	26	19	73	190
აგარის — ალ. მიქაძე	63	23	36,5	95,8
ოსიაურის — კ. კუცია	51	8	15,7	42,1
გორის — ერ. მუკაშიანი	78	17	21,8	77,2
კასპის — პ. ვარძელაშვილი	27	9	33,3	64,3
სტალინირის — შ. ალბოროვი	24	3	12,5	23
თბილისის — ალ. მდივნიშვილი	61	4	6,6	22,2
საგარეჯოს — ალ. ქემოკლიძე	45	5	11,1	25
ბორჩალოს — მ. მაისურაძე	45	19	42,2	95
ლუქსემბურგის — ვ. ბელქანია	33	15	45,5	107,1
ყარაიას — ნ. გონგაძე	35	11	33,4	73
ულიანოვკის — მ. ალავერდაშვილი	40	11	27,5	47,8
წნორის — ივ. ფეიქრიშვილი	62	14	22,6	66,7
ყვარლის — ვ. ტალახაძე	43	8	18,6	47
ასურეთის — ე. ვანიევი	28	10	35,7	83,3
თიანეთის — კ. ჭინჭარაული	16	15	93,7	214,2
წალკის — ა. აგაიანი	30	9	30	81,8
სადახლოს — პ. მამედოვი	31	10	32,2	111,1
ადიგენის — ა. ნახაპეტოვი	8	8	100	160
სამტრედიის — კ. გაბედავა	8	4	50	133
ზესტაფონის — შ. ბარბაქაძე	13	2	15,3	100
აბაშის — ალ. წულაია	19	1	5,3	25
ზუგდიდის — ჩიქავა	16	1	6,2	33,3
ხობის — კ. ჩიმინავა	20	10	50	76,9
გუდაუთის — აბლოტია	3	1	33,3	100
სულ	1448	287	16,4	48,4

აგარის, თბილისის, ულიანოვკის, ხობის, ზესტაფონის, ადიგენის და ასურეთის მტს-ების ცნობები 15 დეკემბრისაა.

დუშეთის, გურჯაანის, კაჭრეთის, თელავის, ბაშკიჩეთის, ქუთაისის, გეგეჭკორის, მახარაძისა და ლანჩხუთის მტს-ებში 20 დეკემბრისათვის აქტით არცერთი ტრაქტორი არ იყო მიღებული და რემონტიდან გამოშვებული.

ახალსოფლის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, წითელწყაროს, ალაზნის, ლაგოდეხის, წულუკიძის, ვანის, ცხაკაიას, წალენჯიხის, გალის, ოჩამჩირისა და სოხუმის მტს-ებს რემონტის მიმდინარეობაზე 20 დეკემბრისათვის ცნობები არ წარმოუდგენიათ.

მოწინავე სატრაქტორო ბრიგადები

თიანეთი, დეკემბერი (ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.). საქ. მიწსახკომისა და მტს-ების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებას საშემოდგომო-საზამთრო რემონტზე სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ თიანეთის მტს-ის (დირექტორი — კ. ჭინჭარაული) მთელი კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა. მტს-ში მოაწყეს ექვსი სარემონტო ბრიგადა. ბრიგადებს შორის გაიშალა სოცშეჯიბრება. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაება რემონტზე მომუშავე ყველა ტრაქტორისტი. თიანეთის მტს-მა ცისრა ტრაქტორების რემონტი დაამთავროს გეგმით გათვალისწინებული 1939 წლის 15 თებერვლის ნაცვლად, პირველ იანვრისათვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია დუშეთის მტს-ი.

სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად თიანეთის მტს-მა დიდ წარმატებებს მიაღწია რემონტის საქმეში. 16 დეკემბრისათვის მეოთხე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 10 ტრაქტორის ნაცვლად შეკეთებულია 18. შემოწმებით გამოირკვა, რომ ტრაქტორები კარგი ხარისხით არის შეკეთებული. სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და ადგილობრივი რესურსების ფართოდ გამოყენების შედეგად მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი — მ. ქისტაური) 16 დეკემბრისათვის მაღალხარისხოვნად შეაკეთა 4 ტრაქტორი, ხოლო პირველმა ბრიგადამ (ბრიგადირი — დ. ბურდული) 6 ტრაქტორი, ორივე ბრიგადამ გეგმა მთლიანად შეასრულა.

მესამე ბრიგადა ამჟამად გუთნებისა და სათესი მანქანების რემონტს შეუდგა. პირველი ბრიგადა კი ეხმარება ჩამორჩენილ მეექვსე ბრიგადას (ბრიგადირი — გ. ბადურაშვილი). ტრაქტორების რემონტზე მომუშავეთა შორის მოწინავე მუშაობით გამოირჩევიან ტრაქტორისტები: თ. დოლიძე, ლ. სიმონიშვილი, კ. ზარიძე.

გ. ხენჩავა

ვებრძოლოთ წამგლეჯებს, ზარმაცებს, შრომის დეზორგანიზატორებს

(სოხუმი, საქ. კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა სტახანოველები, სპეციალისტები, ხელმძღვანელები გაზეთ „პრავდის“ საშუალებით აყენებენ საწარმოებში ზარმაცთა, გამცდენთა, წამგლეჯთა და ყველა სახის დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებისა და პატიოსანი მუშების წახალისების საკითხს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ წერილებმა ჯერ კიდევ სათანადო გამოხმაურება ვერ ჰპოვეს ქალაქ სოხუმის საწარმოებში.

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში (დირექტორი—ამხ. დარსაველიძე), შრომის დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყებას მიეცა. ხშირად უდისციპლინობის გავრცელებას ხელს უწყობენ სასამართლო ან სხვა ორგანოები.

იყო შემთხვევა, როცა ფაბრიკიდან მოხსნილ იქნა თამბაქოს დასატენი საამქროს წუნმდებელი მარია დიჩიკი, რადგან ის სისტემატურად არღვევდა შრომის დისციპლინას; დიჩიკმა ეს საქმე ქალაქ სოხუმის სასამართლოში გაასაჩივრა. აქ მთელ ორ თვეს გაჭიანურდა საქმის განხილვა და სასამართლომ საქმე დეზორგანიზატორის სასარგებლოდ გადასწყვიტა. ამგვარად დიჩიკმა სახელმწიფოს 400 მანეთი წააგლიჯა.

ანასტასია ლიუსენკო მუშაობდა იმავე საამქროში. ის საერთოდ უდისციპლინოდ იქცეოდა, მაგრამ ფაბრიკის ადმინისტრაცია და პროფესიული ორგანიზაცია დუმილით უვლიდნენ გვერდს ამ ფაქტს. სამი თვის წინათ ლიუსენკომ უეცრად შესწყვიტა ფაბრიკაში სამუშაოდ სიარული და ზედიზედ გააცდინა 10 დღე. ამ ფაქტმა სრულიად უყურადღებოდ ჩაიარა. ლიუსენკოსეთმა მფარველობამ იქამდე მიიყვანა, რომ მან უკანასკნელ დროს კვლავ რამდენიმე დღით მიატოვა სამუშაო.

ფაბრიკაში არიან სხვაგვარი წამგლეჯებიც. მათ სისტემატურად ჯიბეში უდევთ ავადმყოფობის ბიულეტენი და რადგანაც კონტროლს არავინ უწევთ, თავს არხეინად გრძნობენ. ფაბრიკის მუშებმა მათ სამართლიანად უწოდეს „ბიულეტენის მუდმივი მქონენი“. ასეთია, მაგალითად მუშა ისაიანი. სექტემბერში მან ისე მოაწყო, რომ ბიულეტენიც აიღო და ფაბრიკაშიც მუშაობდა—ფულს იღებდა სადაზღვევო სალაროდანაც და წარმოებიდანაც. ამავე ხერხს მიმართა მუშა ცილინკინმაც. მუშა საენკო ხშირად იღებს ბიულეტენს. ამავე დროს გამუდმებით ლოთობს. ასევე ითქმის ბუგაენკოსა და მარტინენკოზეც.

ფაბრიკის ხელმძღვანელები არ ცდილობენ უკეთესი პირობები შეუქმნან სტახანოველებს, პატიოსან ერთგულ მუშებს. პირიქით, ხშირად საწინააღმდეგო მოვლინასთან გვაქვს საქმე. მუშა პრიმა, რომელიც ამასწინათ დააპატიმრეს ფაბრიკიდან თამბაქოს გატაცებისათვის და რომელსაც ამხანაგურმა სასამართლომ გაფრთხილება მისცა, უზრუნველყოფილია ფაბრიკის საცხოვრებელი ბინით, ხოლო სტახანოველებს ამხ. ს. კარნაუშენკოს, დებს მ. და ა. ტეკოსიანებს და სხვ. დღემდე არა აქვთ სათანადო ბინები.

ფაბრიკის ბინები უჭირავთ ისეთ პირებს, რომლებმაც კარგახანია კავშირი გასწყვიტეს ფაბრიკასთან და მუშაობენ სხვა ადგილას (ლაპჩენკო და სხვ.), ხოლო ფაბრიკის მუშები ჩანბა, პანაიატოვი, საკიანი, ესოიანი და სხვ. უბინაოდ არიან. ფაბრიკის დირექციამ ეს მრავალჯერ აცნობა ქალაქ სოხუმის პროკურორს ამხ. ჯომიდავს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იღებს საჭირო ზომებს უცხო პირებისაგან ფაბრიკის ბინის განთავისუფლებისათვის.

უდისციპლინობისა და ცუდი მასობრივი მუშაობის შედეგია ისიც, რომ ფაბრიკაში მუშათა დიდი დენადობაა. მიმდინარე წელს სამუშაოდ მოვიდა 224 მუშა, ხოლო წავიდა 225.

უდისციპლინობას, წამგლეჯობას, შრომის დეზორგანიზატორობას გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. თამბაქოს ფაბრიკის ადმინისტრაცია მეტი ყურადღებით და მზრუნველობით უნდა მოეპყრას სტახანოველებს, მოწინავე მუშებს.

ვებრძოლოთ წამგლეჯებს და ფრენიებს

ჩვენთან, ლითონ-კონსტრუქციის ქარხანაში, არც თუ ისე იშვიათია მუშა-ხელის დენადობისა და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

10 თვის განმავლობაში ჩვენ 232 მუშა მივიღეთ სამუშაოზე, ხოლო ჩვენგან წავიდა 235 მუშა. ცხადია, ამან დიდი გავლენა იქონია ქარხნის მუშაობაზე. ქარხანა ვერ მუშაობდა სრული დატვირთვით, შემცირდა შრომის ნაყოფიერება.

ამხ. მიხეილ ნოსკოვი 5 თვის წინათ მოვიდა ქარხანაში და სამი თვე იმუშავა ლითონშემდუღებელ საამქროში. უკანასკნელად ნოსკოვი „ავად გახდა“ და ბიულეტენი აიღო. მას ჩვენ ერთი თვის ხელფასი (გამომუშავების ასი პროცენტი) მივეცით. ამის შემდეგ ნოსკოვი ქარხანაში არავის უნახავს. იგი სოფელში წავიდა.

1938 წლის ივლისში მექანიკურ საამქროში მუშაობა დაიწყო ზეინკალმა პეტრე ლუნინმა, ოქტომბერში მას დიდიხნის გადაუხდელი ალიმენტის ფურცელი მოუვიდა. მეორე დღეს ლუნინი სამუშაოზე აღარ გამოცხადებულა. როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი თურმე ალიმენტის გადახდას გაურბოდა და ხშირად იცვლიდა სამუშაოს.

მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენ მივიღეთ ახალგაზრდა მუშა მიხა თვაური, სადაზგო საამქროში მან მხოლოდ 15 დღე იმუშავა, „ავადმყოფობის“ გამო თვენახევრის ხელფასი (გამომუშავების 100 პროცენტი) მიიღო და წავიდა.

ის ფაქტი, რომ 10-15 დღით მოსული „მუშები“ დახმარებას ავადმყოფობის დროს სრულ ხელფასს და ზოგჯერ მეტს იღებენ, ძველ კვალიფიციურ მუშებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ჩვენ სათანადოდ ვერ ვაფასებთ პატიოსან, გულშემატკივარ მუშებს.

ჩემი აზრით, ძველ და ახალ მუშებს შორის უნდა არსებობდეს განსხვავება ფულადი დახმარების მხრივ. წარმოებასთან შეზრდილი კვალიფიციური მუშები, კეთილსინდისიერი ამხანაგები უნდა წავახალისოთ, რომ ქარხანას მუდამ ჰყავდეს საკუთარი მაღალკვალიფიციური კადრი.

იასონ აბრამიშვილი

ლითონ-კონსტრუქციის ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე.

ზ. ჩხუბიანიშვილი

საქ. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი

განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი

სატყეო მრეწველობა თავის მუშაობაში მრავალი ძაფით არის დაკავშირებული ჩვენი მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებთან, ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი მოსახლეობის კულტურასთან და ყოფაცხოვრებასთან.

სატყეო მრეწველობის დიდი მნიშვნელობის გამო პარტია და მთავრობა სისტემატურად უთმობდნენ და კვლავ უთმობენ მას დიდ ყოველმხრივს ყურადღებას. მაგრამ ხალხის მტრები, მტრები ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ სატყეო მრეწველობაში, მთელ თავის დანაშაულებრივ საქმიანობას მიმართავდნენ იქითკენ, რომ ჩაეშალათ იგი, რომ ჩაეშალათ საწარმოო გეგმები, რომ ჩაეშალათ კაპიტალური მშენებლობის გეგმები, რომ ჩაეშალათ პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიებანი, მიმართულნი სატყეო მრეწველობის გაჯანსაღებისაკენ.

ხალხის მტრები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატში, გამომჟღავნებულნი და განადგურებულნი არიან.

1937 წლის დამლევიდან საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სახკომსაბჭოს ხელმძღვანელობით შეუდგა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას და ყველა პატიოსანი და სამშობლოს ერთგული ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკების, მუშების, სტახანოველების დახმარებით დიდი მუშაობა ჩაატარა სატყეო მრეწველობის საწარმოთა გაჯანსაღებისათვის.

ტყის ექსპლუატაციის წლიური გეგმა შესრულებულია ვადაზე ადრე 15 დეკემბრისათვის. გეგმით გათვალისწინებული 222,4 ათასი კუბური მეტრის ნაცვლად დამზადებულია 234,1 ათასი კუბური მეტრი, — გეგმის 105,2 პროცენტი, 240,4 ათასი კუბური მეტრის ნაცვლად გამოზიდულია 242,2 ათასი კუბური მეტრი,—გეგმის 100,7 პროცენტი, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იძლევა ზრდას დამზადების დარგში 7,3 პროცენტით და გამოზიდვის დარგში 14,3 პროცენტით.

საქართველოს ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოები წარსული წლებისაგან განსხვავებით პროგრამას კვარტალიდან კვარტალში მზარდი ტემპით გადაჭარბებით ასრულებენ. 15 საწარმოდან, რომლებიც ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობენ, გეგმას გადაჭარბებით ასრულებს 11 საწარმო.

მოწინავეთა შორის პირველია ხეთის მექანიზებული სატყეო პუნქტი (დირექტორი—კოკაია). წარსულ წლებში ამ სატყეო პუნქტს, წარმოების დეზორგანიზებულობის გამო, დიდი გარღვევა ჰქონდა. 1937 წელს მან გეგმა მხოლოდ 73 პროცენტით შეასრულა. ხეთის პუნქტი თავის დავალებებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს. თავისი წლიური პროგრამა—60.000 კუბ. მეტრზე მეტი მერქანი — მან დაამზადა და გამოზიდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის XXI წლისთავისათვის — 7 ნოემბრისათვის. ხე-ტყის დამზადების წლიური გეგმა შეასრულეს აგრეთვე აფხაზეთისა და ზუგდიდის სატყეო საბჭოთა მეურნეობებმა და ბორჯომის სატყეო კომბინატმა.

არსებითი მომენტს, რომელიც უზრუნველჰყოფს მიმდინარე წლის ხე-ტყის გამოზიდვას, წარმოადგენს ტყეში მომუშავე მექანიზმების პარკისა და საკუთარი გამწევი ტრანსპორტის გაძლიერება.

მიმდინარე წლის სამი კვარტალის განმავლობაში სატყეო საწარმოთა საკუთარი საშუალებებით — ავტომანქანებით, ტრაქტორებითა და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ხე-ტყის გამოზიდვა გაიზარდა 60 პროცენტამდე გასული წლის ამავე პერიოდის 44,8 პროცენტის ნაცვლად.

საკუთარი ტრანსპორტის ხვედრითი წონა გაიზარდა აგრეთვე მერქანის მიზიდვის საქმეშიც.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მექანიზებული ტრანსპორტის მუშაობა. 15 დეკემბრისათვის მექანიზმების ყველა სახით გამოზიდულია 148,7 ათასი კუბ. მეტრი, ნაცვლად შარშანდელი 107,3 ათასი კუბ. მეტრისა, ზრდა—43,3 პროცენტით.

საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ხეთის ვიწროლიანდაგიანმა რკინიგზამ, ხაშურისა და ბორჯომის გაზგენერატორულმა ავტობაზებმა.

მიუხედავად იმისა, რომ გეგმის ზოგიერთი მაჩვენებელი ჯერ კიდევ არ სრულდება, გასულ წელთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა მექანიზებული ტრანსპორტის მუშაობა, კერძოდ პარკის გამოყენების კოეფიციენტი, კომერციული სიჩქარე, რეისის დატვირთვა.

ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოების მოწესრიგებულმა მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვედიდებინა საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებისათვის ნედლეულის მიწოდება, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა მათი მუშაობის გაუმჯობესება.

თუმცა საწარმოები ჯერ კიდევ მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილი ტექნიკური დამხმარე მასალით, მაგრამ მათი მომარაგება მიმდინარე წელს ბევრად გაუმჯობესებულია. მიმდინარე წელს ეს მასალა შემოვიდა 5-ჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მომარაგება მწვავედეფიციტური ტექნიკური მასალით, როგორიცაა ღვედები, ლურსმანი, წებო, მავთული, რკინა.

საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებმა თერთმეტი თვის გეგმა შეასრულეს 103,8 პროცენტით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის რაოდენობა გაზარდეს 16 პროცენტით.

საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა შორის წამყვანი ადგილი სამართლიანად მცხეთის ხე-ტყის ქარხანამ დაიკავა. მუშაობდა რა კარგად წლის დასაწყისიდანვე, მან 11 თვის გეგმა 114,3 პროცენტით შეასრულა. ქარხნებში გაუმჯობესდა საზერხი ჩარჩოების მუშაობა.

თუმცა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა მთლიანად ვერ ასრულებს გეგმას (მოსალოდნელია გეგმის 93 პროცენტით შესრულება), მაინც მიმდინარე წელს მან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა და 11 თვის განმავლობაში გამოუშვა 153 ათასი სკამი, გასულ წელთან შედარებით სკამების გამოშვება გაიდიდა 30,8 პროცენტით.

თავის მიღწევებს საქართველოს სატყეო მრეწველობა უნდა უმადლოდეს სტახანოველთა და დამკვრელთა საუკეთესო მუშაობას და წარმოებისა და შრომის უკეთეს ორგანიზაციას.

სტახანოველთა შორის განსაკუთრებით ისახელეს თავი: თელავის სატყეო მრეწველობის მეურნეობის ხისმჭრელმა ამხ. ფომენკომ, რომელიც იძლევა გამომუშავებას ნორმის 290 პროცენტამდე, ხეთის მექანიზებული სატყეო პუნქტის მტვირთავმა ვასო ლაგვილავამ (232 პროცენტი), ხეთის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მემანქანემ (183 პროცენტი), თელავის ავტობაზის შოფერებმა ეგულოვმა და გოგოლაძემ (147 პროცენტი).

მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან მცხეთის ხე-ტყის ქარხნის მედაზგე ამხ. ბუთხუზი (206 პროცენტი), ბათუმის ქარხნის მჩარხავი ს. ალექსანიანი (150 პროცენტი), მარელისის ავეჯის ფაბრიკის მედაზგე ამხ. ვარლამ ყრუაშვილი (135 პროცენტი).

ხე-ტყის დამამზადებელთა საშუალო ხელფასი ამჟამად აღწევს 16 მან. 12 კაპ. დღეში, სტახანოველები იღებენ 25-30 მანეთს. საუკეთესო სტახანოველები მექანიზებულ გამოზიდვაზე გამოიმუშავებენ ხოლმე 35 მანეთზე მეტს. საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებში ერთი მუშის გამომუშავება წლის განმავლობაში გაიზარდა 22,5 პროცენტით, საშუალო ხელფასის 19,8 პროცენტით ზრდის დროს.

საწარმოთა მუშაობის საერთო გაუმჯობესება თვითღირებულების შემცირებასაც დაეტყო. ტყის ექსპლუატაციის დარგში თვითღირებულება (9 თვის განმავლობაში) შემცირდა 8,4 პროცენტით, ფანერის—11 პროცენტით, ხე-ტყის ხერხვის—16 პროცენტით.

ცოტა დააკლდა ავეჯის წარმოებისა და ხის დამუშავების დარგში თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულებას, თუმცა აქაც გვაქვს შემცირება გასულ წელთან შედარებით.

საწარმოთა საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესების შესაბამისად გაუმჯობესდა საქართველოს სატყეო მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობაც. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის დაგროვებებმა შეადგინეს 3407 ათასი მანეთი (ფართო მოხმარების საგნებთან ერთად), ანუ წლიური გეგმის 104,7 პროცენტი. ძირითადად ლიკვიდირებულია ხელფასის არანორმალური დავალიანება, რომელიც გასულ წელს მილიონ მანეთამდე ავიდა.

აღნიშნულ მიღწევებთან საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობაში არის აგრეთვე მთელი რიგი ნაკლოვანებები.

მაგალითად, სამარცხვინოდ ჩამორჩა ჯალაბეთის სატყეო კომბინატი, რომელმაც ვერ გამოზიდა გეგმით გათვალისწინებული მერქანის რაოდენობის ნახევარიც კი, რომელიც წლის დახერხილი პროდუქციის გამოშვების გეგმას.

ცუდად მუშაობს სალხინო-მარტვილის სატყეო მეურნეობა, რომელმაც გამოზიდა მერქანის მისთვის დანიშნული მოცულობის მხოლოდ 40 პროცენტი. წლის მეორე ნახევარში ჩამორჩნენ თბილისისა და ქიათურის სატყეო სამრეწველო მეურნეობები.

ცალკეული საწარმოები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით არ იძლევიან ზოგიერთ მეტად საპასუხისმგებლო ასორტიმენტებს და ძვირფასი ჯიშების საფანერო ნედლეულს. ჩამორჩება აგრეთვე შეწებებული ფანერის გამომუშავება.

ზოგიერთმა სატყეო სამრეწველო მეურნეობამ დაუშვა ტყის, განსაკუთრებით მალფუჭებადი წიფლის, გაჩეხვა იმ რაოდენობით, რომელიც დაკავშირებული არ არის მისი სწრაფი გამოზიდვის შესაძლებლობასთან, რამაც ზაფხულში გამოიწვია მორების ნაწილობრივი გაფუჭება.

ამ და აგრეთვე სხვა მიზეზების გამო თელავის, მახარაძის, კოლხიდის, ზუგდიდის და ქიათურის სატყეო სამრეწველო მეურნეობებში გაფუჭდა 3600 კუბ. მეტრამდე ხე-ტყე.

საწარმოთა უმრავლესობა სუსტად იბრძვის სადებიტორო დავალიანების შემცირებისათვის. 1938 წლის პირველი ნოემბრისათვის საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთელ სისტემაში ეს დავალიანება მაინც კიდევ შეადგენდა 2,5 მილიონ მანეთზე მეტს.

საფაბრიკო-საქარხნო საწარმოების ნედლეულით მომარაგებისა და მათი შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად მიმდინარე წელს გათვალისწინებული იყო მნიშვნელოვანი კაპიტალური ხარჯები გზებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის და საკუთარი ტრანსპორტის შეძენისათვის. მაგრამ მუშაობა ამ თანხების ათვისებისათვის არასაკმაოდ ენერგიულად სწარმოებს. მშენებლობისათვის გათვალისწინებული 3.108 ათასი მანეთიდან მეოთხე კვარტალის დასაწყისისათვის ათვისებული იყო მხოლოდ 2.046.000 მანეთი, ანუ წლიური გეგმის 66 პროცენტი, ხოლო 1 დეკემბრისათვის—86 პროცენტი. ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა გზების გაყვანასა და საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობებს—ამ საფუძველს, რომელიც სწყვეტს ტყის ახალი მასივების სამრეწველო ათვისების საკითხს.

მიმდინარე წელს ცოტა როდი აშენდა ახალი და შეკეთდა ძველი სატყეო საერთო საცხოვრებლები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუშების საყოფაცხოვრებო პირობები ტყეში ამჟამადაც არ არის სავსებით მოგვარებული.

კერძოდ ცუდად არის დაყენებული ტყის მუშების კვება და მომარაგება. კოოპერაციამ (ცეკავშირმა) დღემდე ვერ მოაგვარა საჭირო პროდუქტების მიტანა სავაჭრო წერტილებში მუშაობის ადგილზე და ვერ უზრუნველჰყო სასადილოების ნორმალური მუშაობა ტყეში.

სანარდო-პროგრესიული ხელფასის გამოანგარიშების ძველი წესი უქმდება. მთავარი ყურადღება ექცევა შრომის ნაყოფიერების ზრდას, თანაზომიერ მუშაობას, დაწესებული ნორმების შესრულებას.

გარდა შეფასებისა და შრომის სანარდო-პროგრესიული ანაზღაურებისა, წესდება დამატებითი სეზონური პრემია-დანამატი.

ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის აღმავლობისათვის ბრძოლა შეუძლებელია პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერების გარეშე, სტახანოვური მოძრაობის გაშლის გარეშე.

კომუნისტ ტყის მუშების როლი ყოველმხრივ უნდა ამაღლდეს. სატყეო საწარმოთა კომუნისტები, კომკავშირლები უნდა იყვნენ ტყის დამამზადებელი მრეწველობის ავანგარდში, უნდა იყვნენ სტახანოვური შრომისა და სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობის ამ უბანს.

დიდი და საპასუხისმგებლოა პროფკავშირთა ამოცანები. პროფკავშირები ვალდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ტყის მუშებში სოც. შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლისათვის.

საჭიროა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სამეურნეო მუშაკებთან ერთად პრაქტიკაში შემოიღონ ცალკეული პროფესიების მუშათა—ტყისმჭრელების, მზიდავების, ტრაქტორისტების, ოსტატების თათბირების მოწვევა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ნება დართეს დაწესებულ იქნას სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და ტყისა და დაცურების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. წითელი დროშა ჩაბარდება ხოლმე საუკეთესო სატყეო საწარმოს. ტყის დამუშავების ყველა მუშების ღირსების საქმეა ბოლშევიკურად მოაწყონ შეჯიბრება გარდამავალი წითელი დროშის მიღებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ტყის დამამზადებლებს დიდი ნდობა და დახმარება აღმოუჩინეს. პარტიისა და მთავრობის იმედის გამართლება—სატყეო საწარმოების ყველა მუშაკის ღირსების საქმეა.

საბრძოლო ამოცანაა გაიშალოს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება გამომუშავების ნორმების ათვისებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ტყის საუკეთესო საწარმოო ნაკვეთისათვის, საუკეთესო სატყეო სამრეწველო მეურნეობისათვის, მექანიზებულ სატყეო პუნქტისათვის, საქართველოს სატყეო მრეწველობაში მიღწეული შედეგების განმტკიცებისათვის და მისი მუშაობის ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის პლენუმი

სიღნაღი, 25 დეკემბერი (საქდესი). 24 დეკემბერს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მე-4 პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **კარანაძე** გაანთავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და გამოიყვანა ბიუროს წევრობიდან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. **ზესო ყურაშვილი**, მეორე მდივნად — ამხ. **ინდიკო ქურციკიძე**, ხოლო მესამე მდივნად — ამხ. **იაკობ ჩინჩალაძე** აირჩია და იგი შეიყვანა რაიკომის ბიუროს წევრთა შემადგენლობაში. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელმა **რ. კვირკველიამ**.

წითელწყაროს პარტრაიკომის პლენუმი

წითელწყარო, 25 დეკემბერი (საქდესი). ამ დღეებში საქნავთის კლუბში ჩატარდა წითელწყაროს რაიონის პარტიული კრება. კრებამ განიხილა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიონული კომიტეტის ბიუროს ანგარიში.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის ბიუროს განვლილ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ბერიშვილმა**. მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ბარბაქაძემ (მირზაანის სარეწაოების უფროსი), საპოჟნიკოვმა (საქნავთის ბურღვის დარგის უფროსი), კვაჭანტირაძემ (საქნავთის ტრანსპორტის გამგე), მგელაძემ (საქნავთის მმართველი), ჯანიკაშვილმა (კომკავშირის რაიკომის მდივანი), სეხნიაშვილმა (წითელ არბოშიკის კოლმეურნეობის პარტორგანიზატორი) და სხვებმა. პარტიულმა კრებამ ბიუროს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. კრებამ პლენუმის შემადგენლობაში აირჩია შალვა ცქიტიშვილი და ილია შანიძე.

ამავე დღეს შესდგა წითელწყაროს პარტრაიკომის მეორე პლენუმი. პლენუმმა ამხ. კოტე ბერიშვილი გაანთავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო. პლენუმმა აგრეთვე ბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გაანთავისუფლა ივლიანე ბაჩიგავა სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. **შალვა ცქიტიშვილი** და შეყვანილი იქნა იგი ბიუროს შემადგენლობაში; ბიუროს წევრობის კანდიდატად პლენუმმა აირჩია **ილია შანიძე**. კრებისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. **რ. კვირკველიამ**.

კომკავშირის ლენინის რაიონის XX კონფერენცია

საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის XX კონფერენციამ თავისი მუშაობა დაიწყო 22 დეკემბერს.

საანგარიშო მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კომკავშირის რაიონული ორგანიზაცია თავის XX კონფერენციას თვალსაჩინო წარმატებებით შეხვდა ახალგაზრდობის პოლიტიკურად აღზრდისა და სწავლების საქმეში. კონფერენციის დელეგატებმა, ჩატარებული მუშაობის აღნუსხვასთან ერთად, მოურიდებლად ამხილეს, როგორც რაიკომის, ისე პირველადი ორგანიზაციების მუშაობის დეფექტები და პრაქტიკული ღონისძიებები დასახეს შემდგომი მუშაობისათვის.

კონფერენციამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია პლენუმი 35 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით. სარევიზიო კომისია არჩეულ იქნა 5 კაცის შემადგენლობით.

საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXI კონფერენციაზე გასაგზავნად არჩეულია 64 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 3 დელეგატი სათათბირო ხმით.

დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის განცხადებას, რომ საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXI კონფერენციაზე პირველ დელეგატად ერთხმად არჩეულია ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი, კონფერენციის დელეგატები ფეხზე ადგომით და მქუხარე ოვაციით ხვდებიან.

მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშის გრიალით ხვდება აგრეთვე ცნობას იმის შესახებ, რომ კონფერენციის დელეგატად ერთხმად არჩეულია ქართველი ხალხის საამაყო შვილი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხანაგი ლ. ბერია.

საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXI კონფერენციის დელეგატებად არჩეული არიან აგრეთვე ამხ. კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, ს. იშხანოვი, მ. ჩუბინიძე, ა. მირცხულავა, შ. ჭანუყვაძე, პ. ჯელაშვილი და სხვ.

25 დეკემბერს, საღამოთი, კონფერენცია დაიხურა. (საქდესი).

ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა

(სოხუმი, საქ. კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას. საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და რაიკომებმა დღემდე ვერ გამოიტანეს საჭირო დასკვნები საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეთხე პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

ახალგაზრდობისადმი უყურადღებობა, მისი კომუნისტურად აღზრდის უგულებელყოფა, თვითკრიტიკის ჩახშობის ცდები, ლოთობა, — აი ის უარყოფითი ფაქტები, რომლებიც ახასიათებს აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელს.

კანცელარიულ - ბიუროკრატიული მეთოდით მუშაობს კომკავშირის გუდაუთის რაიკომი. რაიკომის ბიურო ყველა თავის სხდომაზე 20-30-40 კომკავშირელს აძლევს რეკომენდაციას პარტიაში მისაღებად. მან უკვე მისცა რეკომენდაცია 211 კომკავშირელს. მაგრამ რაიკომს ერთხელაც არ მოჰგონებია შემოწმებინა რა ბედი ეწია მის რეკომენდაციებს, მიღებული არიან თუ არა პარტიაში რეკომენდაცია მიცემული ამხანაგები.

გარდა ამისა, რაიკომი და მისი მდივანი ამხ. ჩახიბაია ოდნავადაც არ ცდილობენ ყურადღება მიაპყრან ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგებას. ისინი ამ მხრივ მუშაობას არ აწარმოებენ. განსაკუთრებით ეს ითქმის რაიონის ცენტრიდან დაშორებული სოფლების ახალგაზრდებზე, რომელთა კომკავშირულ ორგანიზაციებში მთელი თვეობით არ შეივლის რაიკომის წარმომადგენელი და მით უმეტეს რაიკომის რომელიმე ხელმძღვანელი მუშაკი.

რაიკომში მთელი თვეობით აწყვია ახალგაზრდობის განცხადებები. რაიკომი მათ განხილვას რატომღაც აჭიანურებს. მაგალითად, ტრაქტორისტ ნიკოლოზ შჩერბანოვის განცხადება, რომელიც 12 აგვისტოს შემოვიდა, ჯერაც არ არის განხილული. ასევე განუხილველია სოფ. კავაკლუკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ოთხი ახალგაზრდის განცხადება, შეტანილი 20 ივნისს.

კომკავშირის რაიკომების სხდომათა დღის წესრიგი გადატვირთულია უმთავრესად ტექნიკური საკითხებით. კომკავშირის ცხოვრების, ახალგაზრდების აღზრდის, მათ შორის მასობრივი მუშაობის წარმოების საკითხებს კი რაიკომების ბიუროების დღის წესრიგში ვერ შეხვდებით. კომკავშირელთა და ახალგაზრდათა შორის სუსტი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ზოგიერთ კომკავშირელში გავრცელდა კომუნისტური ახალგაზრდობისათვის უცხო ტენდენციები: ლოთობა, ხულიგნობა, არაამხანაგური დამოკიდებულება კომკავშირელი ქალიშვილებისადმი და სხვ.

საქ. ალკკ ოჩამჩირის რაიკომის მდივნის მოადგილე ბაგრატ ნარმანია 24 ნოემბერს მიელინებული იყო დახმარებისათვის სოფელ კვეზანის კომკავშირულ ორგანიზაციაში. ნაცვლად იმისა, რომ ამ ორგანიზაციისათვის სათანადო დახმარება აღმოეჩინა, ის გაილეშა და კომკავშირელები მოწმე გახდნენ, თუ როგორ „ზორბად სვამს" მათი რაიკომის მდივნის მოადგილე.

26 ოქტომბერს ტარდებოდა საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელზეც იდგა კომკავშირის გალის რაიკომის მდივნის ა. შამუგიას მოხსენება. შამუგია გზაში გაილეშა და პლენუმზე უზომოდ მთვრალი გამოცხადდა. გარდა ამისა, მან გზაში დაჰკარგა პლენუმისათვის საჭირო მთელი მასალები.

არის თვითკრიტიკის ჩახშობისა და კომკავშირული დემოკრატიის დარღვევის ფაქტები.

მაგალითად, აფხაზეთის ფინსახკომის კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანმა ამხ. მალიამ ამასწინათ კომკავშირის ქალაქის ორგანიზაციის აქტივზე გააკრიტიკა ქალაქკომის მდივანი ამხ. შ. ჭკადუა, მიუთითა იმაზე, რომ ის უყურადღებოდ ეკიდება კომკავშირული ბილეთების გაცემას. აქტივს ესწრებოდა საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბიგვავა. მან მალე ბიუროს სხდომაზე გამოიძახა მალია და მითითება მისცა მას, ვითომდა „არაამხანაგური კრიტიკისათვის". ფაქტიურად ამავე ბიუროზე მთლიანად დადასტურდა მალიას მიერ ჭკადუას მიმართ წამოყენებული ბრალდებები.

კომკავშირელმა ამხ. ზუხბამ აქტივის კრებაზე გააკრიტიკა გაზეთ „კომსომოლეც აბხაზიის" მუშაობა, მიუთითა მას უარყოფით მხარეებზე. კომკავშირის საოლქო კომიტეტმა და მისმა მდივანმა ამხ. ბიგვავამ მასაც ეს გამოსვლა „არაამხანაგურ კრიტიკად" ჩაუთვალა და საკითხი მოისმინა ბიუროს სპეციალურად მოწვეულ სხდომაზე. აქ „კომსომოლეც აბხაზიის" მიმართ კრიტიკა ჩასთვალეს სწორად, მაგრამ რატომღაც ამ კრიტიკის ავტორს ზუხბასაც გაფრთხილება მისცეს.

საინტერესო შემთხვევას ჰქონდა ადგილი ოჩამჩირეში. კომკავშირის რაიკომთან არსებულ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციას უნდა აერჩია 1 დელეგატი კონფერენციაზე დასასწრებლად. დელეგატად დასახელებული იყვნენ რაიკომის მდივანი ა. არგუნი და მისი მოადგილე ნარმანიაც. ხმის უმრავლესობით დელეგატად არჩეულ იქნა ნარმანია. კომკავშირის რაიკომის მდივანმა ა. არგუნმა იწყინა ასეთი „შეურაცხყოფა" და გააუქმა ჩატარებული არჩევნები.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ კომკავშირის რაიკომები განმტკიცებული არ არიან სათანადო კადრებით. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ აფხაზეთის კომკავშირის ორგანიზაციას.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებით აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა აყვანილ უნდა იქნეს სათანადო სიმაღლეზე.

გ. მერკვილაძე

თბილისის მე-56 სრული საშუალო სკოლის კომკავშირული კომიტეტის მდივანი, X კლასის მოწაფე ამხ. ბ. დიმიტრიევი უკითხავს და განუმარტავს საქ. ალკკ წესდებას კომკავშირში ახლად მიღებულებს. **სურათზე:** მარცხნივ დგას უშაევა, სხედან: ნ. მამალაძე, ა. პავლოვა, ვ. პერსიანოვა და დგას მარჯვნივ ნ. ვესელოვსკი.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი ამხ. ვ. ყალიჩავა ესაუბრება ახლად მიღებულ პარტკანდიდატებს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის შესახებ. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. ყალიჩავა, ვენერა ქარცივაძე, შალვა სარიშვილი, ვ. დონაძე, და ქ. ლელეყვა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

გამოფენისათვის „ლენინი და სტალინი სახვით ხელოვნებაში"

მიმდინარე თვეში მოსკოვში იხსნება ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ მოწყობილი გამოფენა თემაზე „ლენინი და სტალინი სახვით ხელოვნებაში". გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ექსპონატები ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების სახლი აქტიურად შეუდგა გამოფენის სამზადისს და ამ მუშაობაში ჩააბა თვითმოქმედი ოსტატები და მხატვრები. გამოფენისათვის შერჩეულია ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნაწარმოებნი. მათ შორის უხვადაა წარმოდგენილი ნაქარგი, გამოწვა, ჩუქურთმა და ინკრუსტაცია ხეზე, ჩუქურთმა ძვალსა და ქვაზე, ქვის ნაკეთობანი და დაჩითვა. მხატვრული შესრულებით ყურადღებას იპყრობს ლენინისა და სტალინის პორტრეტები, რომლებიც ამოქარგულია აბრეშუმით და ეკუთვნის სულხანიშვილს, ჯანდიერს (თბილისი) და რამიშვილს (ბათომი); ჩინებულად არის გამოყვანილი ხეზე გამოწვით ლენინის, სტალინის, ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, მ. გორკის, საბჭოთა კავშირის გმირების ვ. გრიზოდუბოვას, პ. ოსიპენკოსა და მ. რასკოვას პორტრეტები — ჭარელის, სტასენკოს და ტუმასის ნამუშევარი, და სურათი „საზღვრების დასაცავად".

მხატვრულადაა შესრულებული ჩუქურთმა ხეზე „ლენინის უკანასკნელი არალეგალობა სესტრორეცკში", „სტალინი ქუთაისის საპატიმროში", ოსტატ ავალიშვილის ნამუშევარი.

დიდი სიყვარულითა და გულმოდგინებით არის შესრულებული 15 წლის ახალგაზრდა ოსტატ ბიძინა ავალიშვილის მიერ სტალინისა და კალინინის ხეზე ამოჭრილი პორტრეტები. საინტერესოა კედლის განჯინა, რომელზედაც გაკეთებულია სურათი სათავდაცვითო თემაზე; ეს სურათი შესრულებულია ხალხური შემოქმედების სახლის ექსპერიმენტული სახელოსნოს ოსტატების — ეფრემოვის, მანუკოვისა და სტასენკოს მიერ და წარმოადგენს ჩუქურთმის, ინკრუსტაციის და გამოწვის კომბინაციას. ჩინებულადაა გაკეთებული ოსტატ მანუკოვისა და ხანდამაშვილის მიერ მხატვრულად გაფორმებული კამეჩისა და ხარის რქით ინკრუსტირებული და ძვლითა და სადაფით გამოკვერილი ზარდახშები.

ქვაზე გამოჭრილ ნამუშევრებში გამოირჩევა ქუთაისელი ოსტატის ბატრაკოვის ნამუშევარი. ქუთაისის ალაბასტრისაგან ნაკეთები მთელი რიგი ჰორელიეფები და ბარელიეფები, რომლებიც მარქსს, ენგელსსა და სტალინს გამოსახავენ.

იშვიათი მხატვრულობითაა შესრულებული ფერადი ტერაკოტისაგან ნაკეთები შორენკეცები „ლენინი ოქტომბერში" და „სტალინი"; ესენი გაფორმებულია ქართული სტილით მხატვარ - კერამისტის ზ. მაისურაძის მიერ. ნატიფად არის ნაკეთები ლენინისა და სტალინის მოჩუქურთმებული პორტრეტები ძვალზე.

საინტერესოა აგრეთვე ჩუქურთმა ქვაზე — ჯგუფური ჰორელიეფები და ბარელიეფები „სტალინი გლეხებთან კახეთში" და „კრება კოლმეურნეობაში"; ესენი შესრულებულია გურჯაანელი ოსტატის შ. მარადაშვილის მიერ და ნამდვილი ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენენ.

საგამოფენო მასალასთან ერთად გადაგზავნილია აგრეთვე მხატვრული დაჩითვა (ქსოვილი) საბჭოთა საქართველოს განყოფილების დეკორაციული გაფორმებისათვის გამოფენაზე.

ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორის მიერ მოსკოვიდან მიღებული ცნობით, ექსპონატები იქ უკვე განხილული და მოწონებულია და მოთავსებული იქნება გამოფენაზე.

გამოფენა მოსკოვის შემდეგ გადატანილ იქნება კიევს, ხოლო შემდეგ თბილისს.

გამოფენაზე საქართველოს განყოფილების მოსაწყობად თბილისიდან მოსკოვს იგზავნება ხელოვნებათმცოდნე ა. გ. გაბუნია.

„რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის" ჩამოყალიბების 60 წლისთავისათვის

„რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი"

ყველასათვის, ვინც მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორიას სწავლობს „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის" მოღვაწეობა მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. ეს იყო ერთერთი პირველი მუშათა კავშირი რუსეთში. ეს კავშირი ჩამოაყალიბეს პეტერბურგის მოწინავე მუშებმა 1878 წლის დამლევს.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლები რუსეთში ხასიათდება კაპიტალიზმის შემდგომი განვითარებით, მრეწველობისა და მუშათა კლასის ზრდით. რუსი მუშის მდგომარეობა არაჩვეულებრივად მძიმე იყო. იგი წელში გაწყვეტილი იყო არა მარტო კაპიტალისტური ექსპლოატაციით, არამედ რომანოვების ფეოდალურ-ბატონყმური სახელმწიფოს მიერ. მუშას რუსეთში არავითარი პოლიტიკური უფლება არ ჰქონდა. მას აბუჩად იგდებდა მეფის ჟანდარმი, შეუბრალებლად ჰყვლეფდა კაპიტალისტი.

რუსეთის ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშების კაპიტალისტური ექსპლოატაცია განსაკუთრებით უხეშ ხასიათს ატარებდა. სამუშაო დღე გრძელდებოდა 14 საათს, ხოლო ზოგან 18 და კიდევ უფრო მეტ საათს. ფართოდ იყო გამოყენებული ქალთა და ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია. მუშების უმეტესი ნაწილი თვეში 7-8 მანეთს იღებდა.

70-იან წლებში დაიწყო მუშათა კლასის გამოფხიზლება. ამ გამოფხიზლებამ ერთერთი ყველაზე უფრო ძლიერი გამოხატულება გაფიცვებში ჰპოვა. 1871 წელს რუსეთში ოეგისტრირებული იყო ჩვიდმეტი გაფიცვა, ხოლო 1872 წელს — 25. აღსანიშნავია, რომ კრენგოლმსკის მანუფაქტურაში მომხდარი გაფიცვის ჩახშობაში მონაწილეობას იღებდა ჯარი. 1874 წელს გაფიცულთა რიცხვი 25 ათასს აღწევს.

მუშათა შორის ამ პერიოდში იზრდებიან პირველი შეგნებული რევოლუციონერები. 1873-დან 1877 წლამდე პოლიტიკური მოტივების გამო სასამართლო პასუხისგებაში მიცემულ პირთა შორის უკვე 15 პროცენტი მუშები ითვლება. პეტერბურგის ზოგიერთ საწარმოში არსდება მუშათა პირველი წრეები.

მუშათა წრეები საწარმოებში მუშათა განსაკუთრებული ორგანიზაციების ხასიათს ატარებენ, მათ კავშირი აქვთ რევოლუციონერ ინტელიგენტებთან, მაგრამ ეს ორგანიზაციები თავისი გზით მიდიან. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ევროპის ყველა ქვეყანაში სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა თავდაპირველად ერთი-მეორისაგან ცალცალკე არსებობდა... სავსებით ასევე მიდიოდა საქმე რუსეთშიც. ჩვენშიც სოციალიზმი არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში, მრავალი ათეული წლების განმავლობაში **განზე** კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშების ბრძოლისაგან, მუშების გაფიცვებისაგან და სხვ." (ლენინი, თხზულებათა მე-2 ტ., გვ. 535). და მხოლოდ 90-იან წლებში პირველად რუსეთში განხორციელება სოციალიზმის შეერთებისა მუშათა მოძრაობასთან დაიწყო „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლმა კავშირმა", რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა.

1873 წელს წრეებში გაერთიანებულ მუშათა რაოდენობა პეტერბურგში 100-ზე მეტი იყო. 1876 წელს, როგორც პლეხანოვი აღნიშნავს თავის მოგონებებში, „პროპაგანდამ მუშათა შორის საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო, როგორც პეტერბურგში (გალერნი ნავსადგურში, ვასილიევსკის კუნძულზე, პეტერბურგისა და ვიბორგის მხარეზე ობვოდნი არხზე, ნევისა და ნარვის ზასტავებზე), აგრეთვე მის მიდამოებში (კოლპინოში, ალექსანდროვის მანუფაქტურაში, კრონშტადტში და სხვ.)".

რევოლუციური მუშაობის ერთერთი ცენტრი იყო წრე ვასილიევსკის კუნძულზე სავაზნე ქარხანაში; ეს წრე უშვებდა ხელნაწერ გაზეთს. არსებობდა ცენტრალური მუშათა წრეც.

საქარხნო ცენტრალური წრის წევრი ობნორსკი ამ დროს მეორეჯერ გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც ახლო გაეცნო პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეებს, ინტერნაციონალის, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარქსი, და დასავლეთის სოციალ - დემოკრატიულ პარტიებს. ობნორსკი ეწვია პარიზს, ბერლინს, ლონდონსა და ჟენევას. ამ ქალაქებში ყოფნამ დიდი გავლენა იქონია მის, როგორც „ჩრდილოეთის კავშირის" პროგრამის ერთერთი ავტორის შეხედულებებზე.

1876 წლის დეკემბერში მუშათა ცენტრალური წრის ინიციატივით ხდება რუსეთში პირველი მუშათა დემონსტრაცია ყაზანის ტაძრის მოედანზე. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 250 მუშა და 200 სტუდენტი.

პოლიციის მიერ დემონსტრაციის გარეკვამ მხოლოდ ამაღლა მისი პოლიტიკური მნიშვნელობა. და უკვე 1877 წლის დამლევს პეტერბურგის მუშები აწყობენ ახალ დემონსტრაციას სმოლენსკის სასაფლაოზე 6 მუშის დაკრძალვის დროს, რომლებიც მოკლულ იქნენ თოფის წამლის საწყობში მომხდარი აფეთქებით.

1877 წელს პოლიციამ დიდი ზარალი მიაყენა მუშათა ორგანიზაციას. მისი რიგებიდან, ღალატის შედეგად, გამოჰგლიჯეს საუკეთესო ძალები. ამან რამდენიმედ შეაფერხა პეტერბურგის მუშათა წრეების მიერ „ჩრდილოეთის კავშირის" გაფორმება. 1878 წელში კვლავ აზვირთდა საგაფიცვო ტალღა. ამ გაფიცვებს მეთაურობენ მუშათა წრეები. ნევის ბამბის სართავ ქარხანაში გაფიცვის მოწყობაში 1878 წლის თებერვლის დამლევს აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხალტურინი და ობნორსკი. პეტერბურგის მოწინავე მუშები არ კმაყოფილდებოდნენ დედაქალაქში მოღვაწეობით.

1878 წლის ზაფხულზე ხალტურინმა მოიარა პოვოლჟიე. იგი იყო ნიჟნი ნოვგოროდსა და სხვა ქალაქებში და გაება კავშირი ქარხნებთან.

1878 წლის დამლევს პეტერბურგის მუშათა წრეები ბოლოს გაერთიანდნენ „რუს მუშათა ჩრდილოეთ კავშირში", რომლის ხელმძღვანელები გახდნენ: დურგალი სტეფანე ხალტურინი და ზეინკალი ვიქტორ ობნორსკი.

„პეტერბურგის მუშების საერთო კრებაზე" 1878 წლის 23 და 30 დეკემბერს (ძველი სტილით) მიღებულ იქნა კავშირის პროგრამა. ეს პროგრამა მკვეთრი ხაზგასმით აღნიშნავს ახალი ორგანიზაციის კლასობრივ მუშურ ხასიათს. — „პეტერბურგის მუშები, — ნათქვამია ამ პროგრამაში, — მივიდნენ იმ აზრამდე, რომ უნდა ჩამოყალიბდეს საერთო რუს მუშათა კავშირი, რომელიც, შეამჭიდროებს რა ქალაქისა და სოფლის მუშა მოსახლეობის დაქუცმაცებულ ძალებს და განუმარტავს რა მას მის საკუთარ ინტერესებს, მიზნებსა და მისწრაფებებს, საკმაო დასაყრდენი იქნება მისთვის სოციალურ უფლებობასთან ბრძოლაში".

თავის პროგრამაში „ჩრდილოეთის კავშირი" აღნიშნავდა, რომ იგი თავისი ამოცანებით დასავლეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს ემხრობა.

„კავშირის საბოლოო მიზნად დასახული იყო სოციალისტური რევოლუციის გატარება—„სახელმწიფოს არსებული პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების დამხობა, როგორც უაღრესად უსამართლო წყობილებისა" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 10). დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების მსგავსად, „ჩრდილოეთის კავშირის" პროგრამაც განიყოფებოდა მაქსიმუმ-პროგრამად და მინიმუმ-პროგრამად.

„ჩრდილოეთის კავშირმა" ნათლად და გარკვევით წამოაყენა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების მოთხოვნა, როგორც აუცილებელი პირობისა მოძრაობის შემდგომი წარმატებისათვის. ეს, უეჭველია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო.

„ჩრდილოეთის კავშირის" პროგრამის მრავალი სხვა მოთხოვნა ემთხვეოდა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამის პუნქტებს. ასეთი იყო სამუშაო დღის შემცირების მოთხოვნა. მაგრამ „ჩრდილოეთის კავშირის" პროგრამა არ იყო ბოლომდე თანმიმდევრული. ნაროდნიკულმა გავლენებმა თავისი დაღი დაასვეს მას. შესამჩნევი იყო აგრეთვე ქრისტიანული ჰანგები, სახარებისა და პირველი ქრისტიანების დამოწმება.

მაგრამ ყოველივე ამასთან პროგრამის პროლეტარული კლასობრივი სული, პირდაპირი და ნათელი განცხადება, რომ აუცილებელია ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის, უეჭველად ლახვარსა სცემდა ნაროდნიკობას; ეს იყო მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური გამოსვლა და მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

1879 წლის დასაწყისში ჩრდილოეთის კავშირი უკვე 200 წევრზე მეტსა და დაახლოებით 200 თანამგრძნობს ითვლიდა. პეტერბურგის თვითეულ მუშათა დიდ რაიონში იყო კავშირის რაიონული განშტოება — წრე, რომელიც ირჩევდა ადგილობრივ კომიტეტს. ადგილობრივი კომიტეტის გამგებლობაში იყო თავისი სალარო და საკუთარი კონსპირატიული ბინა. ადგილობრივი კომიტეტების წევრები ერთდროულად ცენტრალური წრის წევრებიც იყვნენ. ცენტრალურ წრეს ჰქონდა საერთო საკავშირო სალარო და ბიბლიოთეკა. შემდგომ ცენტრალური წრის შემადგენლობიდან გამოყოფილ იქნა მცირე აღმასრულებელი კომიტეტი. ცენტრალურ წრეს კავშირი ჰქონდა აგრეთვე მუშათა ზოგიერთ პროვინციულ წრესთან.

კავშირს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში იყო მარქსისა და ენგელსის წიგნები. ცალკეულ რაიონებში მუშაობდნენ ბიბლიოთეკის ფილიალები.

კავშირის სალარო თანდათან ივსებოდა და მთელ რიგ შემთხვევებში კავშირი დახმარებას უწევდა გაფიცულ მუშებს. ასე, მაგალითად, 1879 წლის გაფიცვის დროს ნევის ბამბის სართავ ქარხანაში კავშირმა თავის სალაროდან გაფიცულებისათვის გასცა დაახლოებით 200 მანეთი.

კავშირის ერთერთ თვალსაჩინო ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს საკუთარი მუშური გაზეთის გამოცემის ცდა. 1880 წლის დასაწყისში კავშირმა მოაწყო თავისი სტამბა და შეუდგა გაზეთ „რაბოჩაია ზარიას" გამოცემას. მაგრამ გაზეთის პირველივე ნომერი 1880 წლის 14 მარტს სტამბასთან ერთად ხელთ იგდო პოლიციამ. „რაბოჩაია ზარიას" მხოლოდ რამდენიმე ცალი გადაურჩა პოლიციას. არ შეიძლება აუღელვებლად ვუცქიროთ ახლა ამ პატარა მუშურ გაზეთს, რომლის ერთი ცალი გამოფენილია სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმში. „რაბოჩაია ზარია" დაბეჭდილია ქაღალდის პატარა ფურცელზე და შესდგება ერთი სტატიისაგან—მუშებისადმი მიმართვისაგან. სტატია მთავრდება მოწოდებით: „გაბედულად წინ, მთავრობასთან და მეპატრონეებთან, ახლანდელ საზოგადოებასთან საბრძოლველად საკუთარი უფლებისათვის, ახალი ცხოვრებისათვის". შემდგომ განზრახული იყო, ხალტურინის აზრის თანახმად, გაზეთში დაბეჭდილიყო მუშების კორესპონდენციები მათი საჭიროების, ცხოვრებისა და მოთხოვნების შესახებ.

გაზეთის შემდგომი გამოცემის განხორციელება სტამბის დარბევის შემდეგ „ჩრდილოეთის კავშირმა" ვეღარ მოახერხა.

„ჩრდილოეთის კავშირი" აქტიურად მონაწილეობდა მუშათა ზოგიერთი გაფიცვის ჩატარებაში, უშვებდა პროკლამაციებს გაფიცულებისადმი. ასე, მაგალითად, 1878 წლის თებერვალში კავშირმა გამოუშვა პროკლამაცია, „ხმა მუშათა ხალხისა, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს არამზადა მაქსველთან".

ცნობას „ჩრდილოეთის კავშირის" დაარსების შესახებ მუშები უდიდესი სიხარულით ხვდებოდნენ. ვარშავის მუშებმა „ჩრდილოეთის კავშირს" თავისი მისალმება გამოუგზავნეს, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარიატი ნაციონალურ შუღლზე მაღლა სდგას და საერთო საკაცობრიო მიზნებს ისახავს.

მეფის მთავრობა მუშათა წრეების მუშაობის დასაწყისიდანვე ყველა ღონისძიებას იღებდა მათი გასანადგურებლად. „ჩრდილოეთის კავშირმა" გაუძლო რამდენიმე მძიმე დარტყმას. პოლიციამ კავშირის გასანადგურებლად ფართოდ გამოიყენა პროვოკაციისა და გამცემლობის საზიზღარი იარაღი.

1879 წლის იანვარში დააპატიმრეს და შემდეგ 10 წლით საკატორღო სამუშაოზე გაჰგზავნეს კავშირის გამოჩენილი ხელმძღვანელი ობნორსკი.

განუწყვეტელი რეპრესიების წყალობით „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირმა" დაჰკარგა თავისი საუკეთესო კადრები და განადგურებულ იქნა მეფის მთავრობის მიერ. კავშირის ათობით წევრები ჩაჰყარეს ციხეში და გაჰგზავნეს კატორღაში. მაგრამ მუშათა მოძრაობა განაგრძობდა თავის ზრდას და მალე გამოიჩინა ძალა 1885 წელს, მოროზოვის ქარხანაში გაფიცვის დროს, რომლის ხელმძღვანელი გახდა „ჩრდილოეთის კავშირის" ერთერთი წევრი პეტრე მოისეენკო.

„რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის" მოღვაწეობის ისტორია ერთერთი ბრწყინვალე ფურცელია მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯებისა რუსეთში. კავშირმა მაღლა აღმართა პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის დროშა უკვე გასული საუკუნის 70-იან წლებში, ცხადჰყო რა, რომ ისტორიული ბრძოლის სარბიელზე გამოდის ახალი რევოლუციური კლასი—მუშათა კლასი, რევოლუციის ნამდვილი ბელადი.

მუშათა კლასის ორგანიზების გზაზე, როგორც შემფერხებელი ძალა, იდგნენ ნაროდნიკები, რომელთა რეაქციული შეხედულებანი მაშინ გაბატონებულნი იყვნენ. ნაროდნიკები „აფერხებდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას.

ნაროდნიკები ხელს უშლიდნენ მუშათა კლასს, შეეგნო თავისი ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში და აფერხებდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პარტიის შექმნას".

რათა გაწმენდილიყო გზა მუშათა კლასის, როგორც რევოლუციის ხელმძღვანელისა დამოუკიდებელი ორგანიზებისათვის, რათა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით გლეხობა აემხედრებინათ თვითმპყრობელურ - ბატონყმური წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, საჭირო იყო ნაროდნიკების იდეურად განადგურება. ნაროდნიკების იდეურად განადგურება, რაც დაწყებული იყო „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მიერ ბრწყინვალედ დაასრულა ვ. ი. ლენინმა 90-იან წლებში.

ჩრდილოეთის კავშირის პროგრამის შეცდომები და მოუმწიფებლობა, აგრეთვე მისი ხელმძღვანელების შეცდომები და მოუმწიფებლობა სავსებით ნათელი გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ მუშათა მოძრაობის განვითარების პირობებს რუსეთში, მუშათა მოძრაობის, რომელიც მაშინ თავის პირველ ნაბიჯებს სდგამდა. მაგრამ ამ ნაბიჯებითაც უფლება აქვს იამაყოს ჩვენმა მუშათა კლასმა. „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირმა" ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო რევოლუციური ბრძოლის გზების სწორი მოძიება.

ა. პიტერსკი

აჯანყება მეამბოხეთა ზურგში

პარიჟი, 24 დეკემბერი (საკდესი). ესპანის სააგენტო ადასტურებს ცნობებს აჯანყებათა შესახებ, რომლებმაც იფეთქა ესპანელ ფაშისტ მეამბოხეთა ზურგში, კერძოდ, სარაგოსაში, პამპლონაში, სეგოვიაში, ბილბაოსა და სან-სებასტიანში. მეამბოხეთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ათასობით კაცი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის არიან უმაღლესი რანგის ოფიცრები, რომელთაგან ბევრი დახვრეტილია.

ესპანეთის ფაშისტური ზონის საზღვარი საფრანგეთთან კვლავ დახურულია. მეამბოხეთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკანასკნელ დღეებში საზღვარზე გადასვლის ნებართვა მისცეს მხოლოდ რამდენიმე იტალიელსა და გერმანელს. ფრანგებმა ვერ შესძლეს მიეღოთ ეს ნებართვა.

O

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკდესი). გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით, ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ესპანელ მეამბოხეთა ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას.

გაზეთი „დეილი ჰერალდი" იუწყება, რომ უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში ხდებოდა ესპანელთა აშკარა გამოსვლები იტალიელი და გერმანელი ოფიცრების წინააღმდეგ. ამ გამოსვლების შედეგად მეამბოხეთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მრავალი კაცი დააპატიმრეს და დახვრიტეს. 22 დეკემბერს ბილბაოში მოხდა დიდი აჯანყება.

გაზეთი „ტაიმსი", ემყარება რა სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ სეგოვიაში და სხვა ადგილებში სერიოზული მღელვარება იყო. ამასთან დაკავშირებით, ბევრი დააპატიმრეს. ეჭვს გარეშეა, სწერს „ტაიმსი", რომ ესპანელი ჯარისკაცები ფრიად უკმაყოფილონი არიან გერმანელებითა და იტალიელებით.

სვერდლოვსკის ოპერისა და ბალეტის თეატრმა დადგა კომპოზიტორ ვ. ტრამბიცკის ახალი ოპერა „სიცოცხლისათვის".
სურათზე: რსფსრ დამსახ. არტისტი ა. ვ. ნოვიკოვი მელკოვის როლში და მსახიობი ო. ვ. კოლოდუბი მისი ქალიშვილის ანას როლში.
საკდესის ფოტოქრონიკა.

თავდასხმა ესპანეთის ფაშისტ მეამბოხეთა ოხრანკის უფროსზე

პარიჟი, 24 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდი" გადმოგვცემს, რომ თავს დაესხნენ ესპანეთის ფაშისტ მეამბოხეთა ოხრანკის უფროსს გენერალ ანიდოს. ანიდო მძიმედ არის დაჭრილი. ამჟამად ის ჰოსპიტალში იმყოფება. მისი მდგომარეობა უნუგეშოა.

ესპანეთის ფრონტებზე

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტრო 23 დეკემბრიდან იუწყება, რომ მეამბოხეებმა და ინტერვენტებმა დაიწყეს შეტევა კატალონიის ფრონტზე. შეტევას წინ უძღოდა საარტილერიო მომზადება და ავიაციის მოქმედება. მეამბოხეთა და ინტერვენტების ჯარმა იერიში დაიწყო ტრემპის რაიონში. იერიში მოიგერიეს რესპუბლიკელებმა, რომლებმაც დიდი ზარალი მიაყენეს მეამბოხეებს. სექტორში ლერიდასა და ბალაგერს შორის მეამბოხეთა 2 ასეულმა, რომელიც შეეცადა მდინარე სეგრეზე გადმოსვლას, დიდი ზარალი განიცადა და იძულებული იყო უწესრიგოდ უკან დაეხია თავის წინანდელ პოზიციებზე. სეროს სექტორში (ლერიდის სამხრეთ-დასავლეთით) იტალიელთა დივიზიებმა, რომლებიც მომარაგებული იყვნენ ახლახან მოტანილი იარაღით, დაიკავეს სერა კრეზა. მაგრამ ეს პუნქტი უკანვე დაიბრუნეს რესპუბლიკელებმა წარმატებითი კონტრიერიშის შედეგად. რესპუბლიკელების მიერ წამოყვანილ ტყვეთა შორის არის იტალიელი ლეიტენანტი და კაპრალი. ამას გარდა, წამოღებულია იტალიელი კაპიტანის ჯუზეპე დეკოლას ცხედარი. გააფთრებული ბრძოლა ამ რაიონში გრძელდება.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ფაშისტთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა პოსობლანკოს.

O

პარიჟი, 24 დეკემბერი (საკდესი). როგორც ესპანის სააგენტო იუწყება, მეამბოხეთა და ინტერვენტთა ცდა შეტევა დაიწყონ აღმოსავლეთის ფრონტზე უფრო სავარეო-პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით არის ნაკარნახევი, ვიდრე მეამბოხეთა სარდლობის სამხედრო გეგმების შესრულებით. გვადალახარასთან იტალიელთა ვანადგურების შემდეგ იტალია-გერმანიის შტაბმა პირველად გადასწყვიტა დაიწყოს შეტევა და კვლავ პირველ რიგში წამოაყენა იტალიის ჯარი.

რესპუბლიკელების მიერ ტყვედ წაყვანილ იტალიელთა შორის ბევრი ეკუთვნის „შავი ალისა" და „ოცდასამი მარტის" დივიზიებს, რომელთა დაშლას იუწყებოდნენ იმ მომენტში, როცა მუსოლინიმ განაცხადა ესპანეთიდან იტალიის ჯარის გაწვევის შესახებ.

ფრონტის არცერთ უბანზე არ არის შემჩნეული რესპუბლიკის ჯარის განლაგების ხაზების რამდენადმე არსებითი შეცვლა. იქ, სადაც მეამბოხეებმა და ინტერვენტებმა პირველ ხანებში მოახერხეს ერთგვარი უპირატესობის მიღწევა, რესპუბლიკელთა ერთეულებმა კონტრიერიშების შედეგად მტერი აიძულეს უკან დაეხია თავის ძველ პოზიციებზე.

საომარი მოქმედება ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთში

კანტონის აღმოსავლეთით ჩინეთის ჯარი განაგრძობს ქალაქ ძენჩენის გარემოცვას. ერთდროულად ჩინელთა ჯარი აწარმოებს ბრძოლებს იაპონელთა იმ რაზმებთან, რომლებიც ცდილობენ გაარღვიონ ხაზი და დაეხმარონ ალყაშემორტყმულ იაპონელთა გარნიზონს ძენჩენში.

გადიდდა იაპონელთა გემების რაოდენობა პაკხოის მახლობლად. ჩინეთის ხელისუფლების განკარგულებით, დაიწყო სანაპირო პუნქტებიდან დაწესებულებათა და მოსახლეობის ევაკუაცია.

ჩრდილოეთ ჩინეთში

მდინარე ხუანხეს ჩრდილოეთ ნაპირზე განლაგებული იაპონელთა ბატარიები, შანსის სამხრეთ ნაწილში, სისტემატურად უშენენ ყუმბარებს ქალაქ ტუნგუანსა და სხვა პუნქტებს მდინარის სამხრეთ ნაპირზე. პარტიზანული მოძრაობის გაძლიერება იაპონელთა ზურგში ხელს უშლის იაპონელების ცდას გადავიდნენ მდინარის სამხრეთ ნაპირზე. ჩინეთის ავიაცია თავს დაესხა იაპონიის სამხედრო საწყობებს ქალაქ ლინფინში (შანსის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი).

რკინიგზის აღმოსავლეთით იაპონელთა სამი კოლონა შეტევას აწარმოებს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ კოლონებმა დაიკავეს ქალაქი ფეისიანი. შანდუნის სამხრეთ ნაწილში იაპონელებმა, ჩინეთის ჯარის შეტევის გამო, უკან დაიხიეს ქალაქ ტანჩენიდან, რომელიც დაკავებულია ჩინელების მიერ.

რადიუმის აღმოჩენის 40 წლისთავი

XIX საუკუნის უკანასკნელი ოცი წელი —ეს არის ეპოქა უდიდესი აღმოჩენებისა ნივთიერების აღნაგობის დარგში. თუ, ენგელსის სიტყვით, „ქიმიაში ახალი ეპოქა იწყება ატომისტიკიდან („ამიტომ არა ლავუაზიე, არამედ დალტონია თანამედროვე ქიმიის მამა"*), ნივთიერების აღნაგობის შესახებ უახლოესი მოძღვრება, ატომის თანამედროვე ფიზიკის მთელი გრანდიოზული და მომხიბლავი შენობა ეყრდნობა რამდენიმე აღმოჩენას, რომლებიც წარსული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებზე მოდის. ესენია—ელექტრონის აღმოჩენა ვ. კრუქსისა და ტომსონის მიერ კათოდურ სხივებში, X სხივების აღმოჩენა ვ. რენტგენის მიერ და, ბოლოს, რადიაქტივობის აღმოჩენა ბეკერელის მიერ.

ამ აღმოჩენებმა ბოლო მოუღეს „განუყოფელი" ატომის ცნებას, რომელიც თითქმის 2½ ათასი წლის განმავლობაში იყო გამეფებული. ამ აღმოჩენების საფუძველზე შეიქმნა მოძღვრება ატომის რთული სტრუქტურის შესახებ და იპოვეს განსაცვიფრებელი „უხილავი სამყარო", ატომის სამყარო.

როცა 1896 წლის მარტში ანრი ბეკერელმა აღმოაჩინა, რომ ურანი, პერიოდული სისტემის უკანასკნელი და ყველაზე მძიმე ელემენტი, სინათლეზეც და სიბნელეშიც გამოჰყოფს რაღაც უხილავ სხივებს, ამ ცნობამ მეცნიერთა წრეებში ისეთივე სენსაცია გამოიწვია, როგორც ვ. რენტგენის აღმოჩენამ რამდენიმე თვით ადრე (პირველი ცნობა რენტგენის აღმოჩენის შესახებ გამოქვეყნდა 1895 წ. 28 დეკემბერს) და თითქმის ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა არსებობდა, დაიწყეს უცნობი სხივების ძებნა და გამოკვლევა. ამ მკვლევართა შორის იყო მაშინ დამწყები და სამეცნიერო წრეებში სრულიად უცნობი პოლონელი ფიზიკოსი მარია სკლოდოვსკაია-კიური. მან მიზნად დაისახა გამოერკვია, მარტო ურანი ხომ არ გამოჰყოფდა ამ სხივებს. აი რას სწერს ის თავისი სადოქტორო დისერტაციის შესავალში**): „მე ეს გამოკვლევები დავიწყე ბ. ნ. ბეკერელის მიერ აღმოჩენილი ურანის გამოსხივების შესწავლით. ჩემი მუშაობის შედეგები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ბ-ნმა კიურიმ (პიერ კიური—მ. სკლოდოვსკაია-კიურის ქმარი.—ე. წ.) დასტოვა თავისი სამუშაო და ჩვენ ჩვენი ყურადღება მივმართეთ ახალი რადიაქტიური ნივთიერებების აღმოჩენისა და მათი შესწავლისაკენ".

1898 წლის აპრილში სკლოდოვსკაია-კიურიმ აღმოაჩინა ნივთიერება, რომელიც გამოჰყოფდა ისეთსავე სხივებს, როგორც ურანი. ეს ნივთიერება იყო მეტალი თორიუმი. ამ გამოკვლევების დროს კიურიმ შენიშნა, რომ იოახიმსტალიდან მიღებული ურანიანი მადანი გაცილებით ძლიერ რადიაქტივობას იჩენს, ვიდრე წმინდა ურანი და მისი ნაერთები. ამ ფაქტიდან ცოლ-ქმარმა კიურიმ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ეს მადანი უნდა შეიცავდეს კიდევ რაღაც სხვა, უფრო ძლიერ რადიაქტიურ ნივთიერებას. ამ მომენტიდან ცოლ-ქმარი შეუდგა ამ უცნობი ნივთიერების გამოყოფის ცდას. მალე გამოირკვა, რომ მათ მიერ გამოსაკვლევად აღებულ ნივთიერებაში ორი უცნობი რადიაქტიური ნივთიერება იყო. პირველი მათგანი უკვე 1898 წლის ივლისში იპოვეს და მას მარია კიურის სამშობლოს პოლონეთის პატივსაცემად „პოლონიუმი" უწოდეს. აღმოსაჩენი დარჩა მეორე უცნობი ნივთიერება. რამდენიმე ციფრი ნათელჰყოფს, თუ რა უდიდესი მუშაობის ჩატარება მოუხდათ პიერ და მარია კიურის ამ ნივთიერების აღმოსაჩენად: ურანიანი მადანი შეიცავდა 60 პროცენტ ურანს; რადიუმისა და ურანის თანაფარდობა ამ მადანში შეადგენს 3,4: 10.000.000, ე. ი. საჭირო იყო ათი ტონა მადნის გადამუშავება, რომ მიეღოთ 3,4 გრ. რადიუმი. ეს იყო საშინლად მძიმე მუშაობა („ნემსის ძებნა თივის ზვინში",—როგორც სწერენ ზოგიერთები) საშინელ პირობებში (ლაბორატორია, რომელიც ფარდულს უფრო ჰგავდა; იარაღებისა და ხელსაწყოების სიმცირე, ვენტილაციის უქონლობა და სხვ.). მაგრამ ამ სიძნელეებმა ვერ შეაშინა მარია კიური და მისი ქმარი. 1898 წლის 26 დეკემბერს მათ პარიზის აკადემიაში გაგზავნეს ცნობა ახალი რადიაქტიური ნივთიერების აღმოჩენის შესახებ. ამ ნივთიერებას, რომელიც 900-ჯერ უფრო ძლიერად გამოჰყოფდა „ბეკერელის სხივებს", იწოდა „რადიუმი" —„სხივური ნივთიერება".

რადიუმი უდიდესი სარგებლობით იქნა გამოყენებული თვით ატომის ფიზიკაში (ატომის რღვევა-სინთეზი α-წილაკებით დაყუმბარების გზით), მედიცინაში და გეოლოგიაში (მთის ქანების ასაკის გამოსარკვევად).

ე. წულაძე.

*) ფ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა" 1932 წ., გვ. 115.
**) სკლოდოვსკაია — „რადიაქტიურ ნივთიერებათა გამოკვლევა", რუსულ ენაზე გამოვიდა 1904 წ.

გამოსასვლელ დღეს თბილისში

ამინდი ქალაქში

24 დეკემბერს თბილისში მთელ დღეს მოღრუბლულობა იყო. დილით მოვიდა უმნიშვნელო წვიმა, მაგრამ მალე გადაიღო. ჰაერის ტემპერატურა შუადღისათვის 9 გრადუს სითბოს უდრიდა. ქარი არ იყო. მზე მთელ დღეს არ გამოჩენილა. საღამოთი კვლავ უმნიშვნელოდ წამოწინწკლა.

თეატრებსა და სანახაობებში

გამოსასვლელ დღეს დილით თბილისის თითქმის ყველა თეატრი და სანახაობათა დაწესებულება დილის სპექტაკლებითა და წარმოდგენებით გაუმასპინძლდა თბილისელ ნორჩ მაყურებლებს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრმა დილის წარმოდგენად გაუშვა ბალეტი — „ესმერალდა".

გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრში დილით წარმოდგენილ იქნა შვარკინის 4-მოქმედებიანი კომედია — „უბრალო გოგონა".

სახელმწიფო ცირკმა დილის 2 წარმოდგენა გამართა ბავშვებისათვის. ორივე წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო მწვრთნელმა ვ. დუროვმა. ცირკი ორივეჯერ სავსე იყო ბავშვებით.

ავეჯეულობის გამოფენა

კარლ მარქსის მოედანზე აღმართული ახალი უნივერსალური მაღაზიის შენობაში (მეორე სართულზე) გაიხსნა ხის გადამამუშავებელი მრეწველობის მიერ გამოშვებული ახალი ავეჯეულობის გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხაკაიას და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში არსებული ხის გადამამუშავებელი ქარხნები და ავეჯეულობის ფაბრიკები.

გამოფენაზე საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს მაიკოპის, ლენინგრადის, ბაქოს, მინსკის, ერევნის და მთელი რიგი სხვა ქალაქების ავეჯეულობის ფაბრიკებმა. გამოფენაზე შესვლა თავისუფალია. იქ წარმოდგენილია საოჯახო ავეჯის ნიმუშები — მაგიდები, სკამები, შკაფები, საწოლები და სხვ. გამოფენა 10 დღეს გასტანს. დახურვის წინ გადაწყვეტილია მომხმარებელთა კონფერენციის მოწვევა.

გამოფენა მოაწყო ავეჯისა და ლითონის ნაწარმთა საკავშირო გაერთიანების თბილისის ფილიალმა.

საკავშირო ვოკალურ კონფერენციაზე

საზამთრო არდადეგებისას მოსკოვში მოწვეულია სასკოლო მომღერალთა გუნდების საკავშირო ვოკალური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე გასაგზავნად სასკოლო გუნდების შერჩევა თბილისშიაც მიმდინარეობს.

24 დეკემბერს, ორჯონიკიძის სახ. რაიონის პიონერთა კლუბში შესდგა ორჯონიკიძის რაიონის სასკოლო მომღერალთა გუნდებისა და ანსამბლების საჩვენებელი გამოსვლა. მონაწილეობას იღებდა 4 სასკოლო გუნდი და მეჩონგურეთა 3 ანსამბლი.

ჟიურიმ, მოსკოვში, საკავშირო ვოკალურ კონფერენციაზე გაგზავნის ღირსად სცნო მეთვრამეტე საშუალო სკოლის გუნდი, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.

ფიზკულტურულ დარბაზებში, მოედნებზე, სტადიონებზე

ლენინის სახელობის სპორტ დარბაზში დილით გაიხსნა კიროვის რაიონის სასკოლო გუნდების შეჯიბრება ფრენბურთში. შეჯიბრება გაგრძელდება 30 დეკემბერს და 6 იანვარს.

დაიწყო ინდივიდუალური შეჯიბრება ფრანგულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის, ქუთაისის, სტალინირის, ბათუმის და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების პირველი და მეორე თანრიგის ოსტატი — მოჭიდავე ფიზკულტურელები.

24 დეკემბერს ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა პირველი გუნდი და თბილისის სკოლების მოსწავლე ფეხბურთელთა გუნდი „მოლოტი".

შეჯიბრება მოიგო სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა 7:0.

მაიაკოვსკის მუზეუმი ბაღდათში

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). 22 დეკემბერს ლეონიდ სობოლევის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი მაიაკოვსკის სამშობლოში — ბაღდათში პოეტის სახლის — მუზეუმის შექმნის შესახებ. მწერალთა კავშირმა დაადგინა მოაწყოს ბაღდათში, მუზეუმი იმ სახლში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ვ. ვ. მაიაკოვსკიმ. მწერალთა კავშირმა გამოსთქვა სურვილი, რომ ეს სახლი - მუზეუმი საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ფილიალი გახდეს. მომავალი წლის გაზაფხულისთვის უნდა დამთავრდეს მუზეუმის მოწყობა და სახლის აღდგენა იმ სახით, როგორიც იყო იგი პოეტის სიცოცხლეში.

ამ საკითხის განხილვისას მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ბიუროს სხდომას დაესწრნენ პოეტის დედა ალექსანდრა ალექსის-ასული და პოეტის და ლიუდმილა ვლადიმერის-ასული მაიაკოვსკაია.

ნადირობა ნუტრიებზე

ამჟამად გაჩაღებულია ნადირობა ნუტრიებზე (სამხრეთ-ამერიკის ჭაობის წავი). უკვე მოპოვებულია 500 საუცხოო ნაზბეწვიანი ტყავი ამ ნადირისა, რომელმაც მეორე სამშობლო ჰპოვა კოლხიდის დაბლობის ჭაობებში. ნადირობა სწარმოებს დასავლეთ საქართველოს 6 რაიონში: ლანჩხუთის, ცხაკაიას, ზუგდიდის, სამტრედიის, ხობისა და აბაშის რაიონში, აგრეთვე აფხაზეთში— ინგირის ტბის რაიონში. ნუტრიებზე სანადიროდ გასულია მონადირეთა 32 ბრიგადა. ამხ. ტარბასა და სუხარძევის ბრიგადამ 2 დღის ნადირობის განმავლობაში 35 ტყავი მოიპოვა, რაშიც 1750-მდე მანეთი აიღო. მოღრუბლული და წვიმიანი დღეები ხელს უწყობენ ნადირობას, რადგან ასეთ ამინდში ეს ნადირი, რომელიც ჩვეულებრივ სოროს მხოლოდ ღამღამობით სტოვებს, დღისითაც გამოდის.

კონფერენციები, თათბირები

მათემატიკოსთა თათბირი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შენობაში გაიხსნა თბილისის მათემატიკური ინსტიტუტისა და სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის მეცნიერ-მუშაკთა თათბირი, რომელზედაც მოხსენებებით მათემატიკის დარგში მეცნიერულ კვლევა-ძიებათა შესახებ ჩატარებულ მუშაობაზე გამოვიდნენ პროფესორები არ. ხარაძე. ლ. გოკიელი, შ. მიქელაძე და სხვ.

თათბირს თავმჯდომარეობდა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი - კორესპონდენტი პროფ. **ნ. მუსხელიშვილი.**

დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის პლენუმი

დამთავრდა დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმი, რომელიც მიმდინარეობდა 23 და 24 დეკემბერს.

პლენუმმა მოისმინა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ალ. მურუსიძის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ და ამხ. მ. ბურჭულაძის მოხსენება საზამთრო არდადეგებისათვის მზადების მიმდინარეობისა და სკოლის გარეშე ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ.

მენდელეევის საზოგადოებაში

27 დეკემბერს, საღ. 8 საათზე, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34) შესდგება მენდელეევის საზოგადოების საქართველოს განყოფილების საქალაქო კრება. მოხსენებებს წაიკითხავენ: დოც. პ. გოგორიშვილი — „გამოკვლევები ტალიუმის ქიმიიდან" და პროფ. რ. ნიკოლაძე — „ტალიუმი ატომგულის ქიმიაში".

კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის" (ორჯონიკიძის მხარე) მონაგარიშე ზოია სიჩევა სწავლობს სროლას.
საკდესის ფოტოქრონიკა.

ტროლეიბუსი ელბაქიძის დაღმართზე

ელბაქიძის დაღმართზე ტროლეიბუსის გაშვებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ სატროლეიბუსო ვაგონები, რომლებიც მიღებულია თბილისში, გათვალისწინებული არ არიან აღმართ-დაღმართზე სამუშაოდ. ამის გამო ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის დირექციამ გადასწყვიტა შეამოწმოს ახლად მიღებული სატროლეიბუსო ვაგონები და გამოარკვიოს — შესძლებენ თუ არა ისინი აღმართზე სიარულს. თუ გამოირკვა, რომ არსებული ვაგონები ვერ იმუშავებენ ამ მარშრუტზე, მაშინ საჭირო იქნება ვაგონების ელექტრო-მოწყობილობაში ცვლილებების შეტანა აღმართზე სამუშაოდ.

მთელი ეს მუშაობა ახლა დაჩქარებითი წესით სწარმოებს და იანვრის დამდეგს ახალი სატროლეიბუსო მარშრუტზე (ბერიას მოედანი —ელბაქიძის დაღმართი — პლეხანოვის პროსპექტი) უკვე გაიხსნება მოძრაობა.

ჭადრაკი

დამთავრდა საჭადრაკო-საშაშო შეჯიბრება საქ. პროფსაბჭოს პირველობაზე

24 დეკემბერს მოსკოვში დამთავრდა საფინალო გუნდური საჭადრაკო-საშაშო შეჯიბრება პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

პირველი ადგილი დაიკავა სასპორტო საზოგადოება „სტროიტელის" გუნდმა, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზე გამოვიდა „მოლნია" — 30 ქულა და მესამე ადგილზე — „ზენიტი" — 29,5 ქულა.

საერთო ყურადღება მიიპყრო ოსტატების რაგოზინისა („სტროიტელი") და კანის (სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი) შეხვედრამ. პარტია მოიგო რაგოზინმა და ამით პირველ ადგილზე გამოიყვანა თავისი გუნდი.

„სტროიტელის" გუნდში, გარდა ლენინგრადელი რაგოზინისა, თამაშობდნენ ოსტატი კასპარიანი (ერევანი), სსრ კავშირის ჩემპიონი ქალი რუბცოვა (მოსკოვი) და სხვ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამარჯვებულებს ჯილდოები მიეცათ.

(საკდესი).

წითელწყარო — ახალი რაიონული ცენტრი. საქნავთის მუშათა საცხოვრებელი სახლი, სახელოსნო და მუშათა სასადილო-კოოპერატივი
ფოტო ა. კალენჯერიძისა.

„საბჭოთა ხელოვნება" № 5

გამოვიდა და [illegible] ჰოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს ორგანო ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" № 5.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: **მოწინავე**—„ხელოვნების მუშაკები ღრმად შეისწავლიან ლენინ-სტალინის პარტიის დიად ისტორიას", **აკ. ფალავა** — „სასცენო ხელოვნება", **ილია ზურაბიშვილი** — „ოთხი პორტრეტი", **ალ. სიგუა**— „ნიკო შიუკაშვილი", **დ. ჯანელიძე**—„ქართული „ხალხური სანახაობანი", **ს. გერსამია** — „დავით ერისთავის „სამშობლოს" პირველი წარმოდგენა", **ა. კოლხი**—„ვალერიან გუნია", **ვლ. ქიქოძე** — „ტრეტიაკოვის გალერიის გამოფენა თბილისში", **ბ. ორბელიანი** — „ესტრადის მაღალი იდეურობისათვის", **პ. ფრანგიშვილი** — „ქუთაისის თეატრი ახალი სეზონის წინ", **შალვა დადიანი** — „სერო თოხაძე", **შალვა ალხაზიშვილის** ბიბლიოგრაფია კაპანელის წიგნზე „მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი" და სხვ.

დღეს კინოებში

ოქტომბერი — „ახალი დროება", I სეანსის დასაწყისი საღამოს 6 საათზე.
დამკვრელი — „კატერინა", I სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათზე და 30 წუთზე.
კომკავშირელი — „ალექსანდრე ნეველი", I სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათზე.
რ. ლუქსემბურგის სახ. — „11 ივლისი", I სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათზე და 30 წუთზე.
სპარტაკი — „ალექსანდრე ნეველი", I სეანსის დასაწყისი საღ. 5 საათზე.
26 კომუნარის სახ. — „საზღვარზე", I სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათზე და 30 წუთზე.

გასწორება

„კომუნისტის" 24 დეკემბრის ნომერში, მე-3 გვერდზე, აზიზ შარიფის წერილის „აზერბაიჯანელი ხალხის დიადი შვილი"—უკანასკნელი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „მხოლოდ ლენინურ - სტალინურმა ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ დაუბრუნა აზერბაიჯანელ ხალხს მისი დიადი შვილი, გახადა მისი შემოქმედება მთელი 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად".

ა. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლის ღონისძიებანი

26/XII — ამხ. ს. გეგიას ლექცია: „ომი ჩინეთში და იაპონელი ხალხი". რუსულ ენაზე. ლექცია შესდგება 26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში, შაუმიანის ქ. № 1. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

28/XII — ამხ. ლ. გეგეშიძის ლექცია: „პოლიტიკური თვითგანათლებისა და წიგნზე მუშაობის შესახებ". ქართულ ენაზე. ლექცია შესდგება პლეხანოვის სახელობის კლუბის დარბაზში, საბჭოს ქ. № 124. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

28/XII — ამხ. პ. თავხელიძის ლექცია: „პიროვნების როლი ისტორიაში". ქართულ ენაზე. ლექცია შესდგება სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში, ტატიანას ქ. № 2. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

29/XII — ამხ. ჭანელიძის ლექცია თემაზე: „მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები ლენინის წიგნში „რა ვაკეთოთ?". რუსულ ენაზე.

ლექცია შესდგება ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში, ლენინის ქ. № 11.

O

ყოველდღე ტარდება ინდივიდუალური კონსულტაციები ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაციები ტარდება დილის 10 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტების ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

ქვანახშირი და მარგანეცი

28 დეკემბრისათვის
(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1012	1099	108,6
ტყვარჩელი	734	697	95
ჭიათურა	5530	4748	86

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

26/XII	27/XII	28/XII
მუდმ. ადგ. ტალ. № 57 აბ. № 3	მუდმ. ადგ. ტალ. № 58	მუდმ. ადგ. ტალ. № 59 აბ. № 2
სევილიელი დალაქი	აიდა	დაისი

დასაწყისი 8 საათზე
აბონენტები, რომლებიც არ შემოიტანენ მესამე გადასახადს თავისი წარმოდგენის დღის 3 საათამდე, ჰკარგავენ უფლებას თავის ადგილებზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

26/XII	წარმოდგენა 81 უდანაშაულოდ დამნაშავენი
27/XII	წარმოდგენა 82 ფოლადაური
28/XII	წარმოდგენა 83 სულელი

სახცირკი — ტელ. 3-11-44
დღეს
განახლებული მრავალფეროვანი პროგრამა
ახალი ნომრები
გრძელდება პოპულარული მსახიობის
ვლადიმერ დუროვის
გამოსვლები
ყოველნაირი მხეცები, ცხოველები და ფრინველები, მათ შორის ზღვის ლომები, დიდი სპილო
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.

თანახმად ორივე არტელის წევრთა საერთო კრების ა. წ. 14 დეკემბრის დადგენილებისა და საქ. კოოპინკავშირის პრეზიდიუმის დასტურისა (ოქმი № 67, ა. წ. 16 დეკემბერი) ინვალიდთა არტელები „პირველი ნაბიჯი" და „წითელი მეხანიკი" თავიანთი აქტივ-პასივით გაერთიანებული არიან ერთ არტელში
„პირველი ნაბიჯის" სახელწოდებით.
ყოველგვარი პრეტენზიები როგორც ერთი, ისე მეორე არტელისადმი, წარედგინება არტელ „პირველ ნაბიჯს" 1939 წ. 10 იანვრამდე; რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.
22384 არტელ „პირველი ნაბიჯის" გამგეობა.

თანახმად ცხაკაიას რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის ტრესტი 1938 წლის 1 ოქტომბრიდან
ლიკვიდირებულია
და ყველა ის წარმოებები, რომლებიც შედიოდნენ ტრესტის გაერთიანებაში, დაქვემდებარებული არიან ცხაკაიას რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებისადმი.
22720 სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ა. გოგია.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი (ათას მანეთებში) პასივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა	№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებები	8863	1	საწესდებო ფონდი	13266
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	6023	2	საამორტიზაციო ფონდი	8
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	1240	3	სპეციალური ფონდები	61
4	საქონელი და მზანაწარმი	456	4	რეზერვები და მომწესრიგებელი მუხლები	32
5	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	1439	5	მოკლევადიანი კრედიტები	4930
6	ფულადი საშუალებები	336	6	ანგარიშსწორებანი (კრედიტორები)	960
7	ანგარიშსწორებანი (დებიტორები)	261			
8	მომავალი დროის ხარჯები	131			
9	ბალანსთაშორის და შინა ანგარიშსწორებანი	80			
10	დანაკარგები საანგარიშო წლისა	428			
	ბალანსი	19257		ბალანსი	19257

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1. დანაკარგები საქონლის და მზა ნაწარმის რეალიზაციით	319	1. სხვადასხვა დაგროვებანი 31
2. სხვა დანაკარგები	140	დანაკარგების ნაშთი 428
სულ	459	სულ 459

დირექტორი **სურგულაძე**. მთ. ბუხჰალტერი **ახვლედიანი**.
ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი ბუხჰალტერი **ვ. ყიფიანი**.
1226

საახალწლო ნაძვისხეების მოწყობისას ხანძრის გაჩენისა და უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რასაც წარსულ წლებში ჰქონდა ადგილი—საქართველოს სსრ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობა ავალებს:
ყველა ორგანიზაციას და კერძო პირს საქართველოს სს რესპუბლიკაში, რომლებიც მიმდინარე წელს საახალწლო ნაძვისხეებს აწყობენ, გაიარონ რეგისტრაცია საქართველოს საქალაქო სახანძრო რაზმებში (ქ. თბილისში—სახელმწიფო სახანძრო დაცვაში—სკოლის ქ. № 4) და იქვე მიიღონ ხანძრის საწინააღმდეგო სათანადო ინსტრუქცია.
ვინც ზემოაღნიშნულს არ შეასრულებს, სსრკ-ის ცაკისა და სახკომსაბჭოს № 52/645 დადგენილების საფუძველზე მიცემული იქნება პასუხისგებაში.
აგრეთვე კატეგორიულად აკრძალულია ნაძვისხის სათამაშოების გაყიდვა ისე, თუ ისინი სათანადოდ არ იქნებიან გაჟღენთილი ცეცხლსაწინააღმდეგო შემადგენლობით.
საქართველოს სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის განყოფილება.
50

ექიმი გ. ნ. ონანოვი
ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის მკურნალობა.
ავადმყოფების მიღება 6-დან 8 საათამდე. ბიბიშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის), № 5.
5—4 2190

ათანასე და ანა ჩხეტიანები შვილებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი დედის
ალათის
გარდაცვალებას. დასაფლავება ს. გვიროში 27 დეკემბერს, დღის ოთხ საათზე.

საქ. იუსტსახკომის თანამშრომლები უღრმეს თანაგრძნობას უცხადებენ ამხანაგ ა. ი. ჩხეტიანს ძვირფასი დედის
ალათის
გარდაცვალების გამო.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34' ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული Დ—1443